



ხალისუფლება -
"ენერგოეკოპი"

A6



დაუმთავრებელი სარეჟისო
იუბილარისთვის

B2



ურველო ავსლუპი

B8

www.24hours.ge

24საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

გაზეთი, 26 მარტი, 2005 წელი. №68 (928)

ფასი 50 თეთრი

ამბები

იმერეთი გაზარდატორის მორიგი
გადადგომის მოლოდინია



ბოლო ათი დღის მანძილზე ქუთაისში ვრცელდება ინფორმაცია, რომ იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული გაი გენაძე თანამდებობას მეორედ და უკვე საბოლოოდ ტოვებს. ეჭვს ისიც აღრმავებს, რომ გენაძე იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან ორი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა.

A2

მიიღეთ მონაწილეობა “24 საათის” და მისი პარტნიორი ავიაკომპანია “ბრიტიშ ეარვეიზის” ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარეაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით! ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.

ივარდილი მონი ,,გაპი“
და გაზეთი “24 საათი”

ანონსიკაპან პრეზენტს,
როგორც მიზანსა
ნარმოვანს
მოსახლეობისათვის
სამართლებრივი
დახმარება.

A7

ამინდი

	26/3	27/3	28/3
თბილისი	9 ☁	13 ☁	12 ☁
ქუთაისი	12 ☁	16 ☁	13 ☁
ბათუმი	12 ☁	15 ☁	11 ☁
სოხუმი	10 ☁	14 ☁	8 ☁
ფოთი	13 ☁	15 ☁	11 ☁
თელავი	8 ☁	12 ☁	10 ☁
ზუგდიდი	13 ☁	16 ☁	12 ☁
გორი	6 ☁	11 ☁	9 ☁
ახმეტა	9 ☁	13 ☁	11 ☁
ჟიკათარა	9 ☁	13 ☁	9 ☁
ბაბრა	9 ☁	13 ☁	8 ☁
სამტრედი	13 ☁	16 ☁	12 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8349
ევრო	2.3789
ბრიტანეთი სტრლ.	3.4344
რუბლი	0.0662

A	B
ამბები	A2
პოლიტიკა	A3
თვალსაზრისი	A4
უცხოეთი	A5
კორუპცია	A6
სამართალი	A7
პროექტი	A8
რევიუ	B2
რევიუ	B3
სპორტი	B4
სპორტი	B5
ბავშვობილი	B6
სხვადასხვა	B7
სხვადასხვა	B8

ახალი აღიანსის კონტურები

სააკაშვილს და იუშენკოს დსთ-სი არ სჭერათ

სოფო ბაქია

უკრაინა და საქართველო სუუამ-ის განვითარებასა და ბალტიკა-შავი ზღვისპირეთის სტაბილურობის ლე-რძისა და თანამშრომლობის აღდგენაზე შეთანხმდნენ. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრის მთავარ თემად სწორედ ეს საკითხები იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას საქართველოს პრეზიდენტი საკმაოდ ხშირად სტუმრობს, აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყანაში ეს მისი პირველი სახელმწიფო ვიზიტია. 2005 წელი უკრაინაში საქართველოს წლად არის გამოცხადებული, მიზეზი სააკაშვილი კი უკრაინაში წლის ადამიანად გამოცხადდა (პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ თემად სწორედ ეს საკითხები იქცა).

საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტებმა გუშინ კიევში ხელი მოაწერეს დეკლარაციის საქართველოსა და უკრაინის შორის სტრატეგიული ხასიათის ურთიერთობის განვითარების შესახებ. “აღნიშნული დეკლარაცია ჩვენი ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირისკენ ერთობლივ სწრაფვას გამოხატავს,” - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. დეკლარაციის თანახმად, სტრატე-

გიული მიზნის მისაღწევად ორმა ქვეყანამ კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლოს შემდეგ საკითხებში: ორივე რეგიონში არსებული გაყვნილი კონფლიქტების უსწრაფესი დარეგულირება სეპარატიზმის დაგმობის საფუძველზე, კონფლიქტური ტერიტორიების მოსახლეობის ფუძემდებლური უფლებებისა და თავისუფლებების

ბაზრადება A3 ბავარდუა

უცნაური ფრაზა: "დსთ ცივილიზებული გაყრისთვის შეიქმნა"

უკრაინაში თუ “საქართველოს წელიწადი”, სომხეთში “რუსეთის წელიწადი” დაიწყო. ამ ღონისძიებებზე დასასწრებად ერევანში ვლადიმირ პუტინი სპეციალურად ჩავიდა. ვიზიტის პროგრამა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, საქმიანი შეხვედრებითაც თანაბრად იყო დატვირთული.

პუტინის ერევანში სტუმრობის ოფიციალური მიზანი “რუსეთის წელიწადის” გახსნის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა იყო. თუმცა, როგორც სხვადასხვა წყაროები აღნიშნავენ, ვიზიტის დროს ორი ქვეყნის პრეზიდენტის მთავარი საზრუნავი უკანასკნელ პერიოდში დსთ-ს სივრცეში განვითარებულ მოვლენებ-

ზე აზრის გაზიარება და პოზიციითა შეჯერება უფრო იქნებოდა. ვლადიმირ პუტინმა და რობერტ კოჩარიაშმა ერთად ისაუბრეს რესტორანში, მოისმინეს ჯაზ-კონცერტი და გვიან საღამომდე მსჯელობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მათი პირისპირ საუბარი გუშინაც დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა. როგორც ყოველთვის, ახლაც განიხილეს მთიანი ყარაბაღის საკითხი. ოფიციალური განცხადებით, პუტინი კოჩარიაშსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის შორის პირდაპირ დიალოგს ემხრობა. თუმცა, თავად კოჩარიაშმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე ამ

საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

ვლადიმირ პუტინი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნისას მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ “ცივილიზებული გაყრა” იყო.

“თუ ევროპის ქვეყნები ევროკავშირის ფარგლებში ერთობლივად გაერთიანებისთვის მუშაობდნენ, დსთ ცივილიზებული გაყრისთვის იქმნებოდა. აი, რაშია განსხვავება. ყველაფერი დანარჩენი პოლიტიკური ყებდობაა,” - განაცხადა გუშინ ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა. თუმცა, ამჟამ დროს, პუტინს მიაჩ-

ნია, რომ დსთ-ს შენარჩუნება საჭიროა და ამით თანამეგობრობის ყველა ქვეყანა დაინტერესებული.

დსთ-ს მნიშვნელობა სკეპტიკურად შეაფასა სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიაშმაც, რომელიც პუტინთან ერთად პრესკონფერენციაში მონაწილეობდა.

ორი ქვეყნების პრეზიდენტების თქმით, დსთ-მ გარკვეული სარგებლობა მოიტანა, თუმცა ნამდვილი ინტეგრაციისთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვან როლს სხვა გაერთიანებები, მაგალითად, “ევროპა-ზიზის ეკონომიკური თანამეგობრობა” და “ერთიანი ეკონომიკური სივრცე” ასრულებს.

24 საათი

დიდი გატყი



დაძაბული იქნება მწვრთნელების დუელი.



ისარგებდით
& მათ
იპოითსაით
24საათი

იხილეთ B3 ბავარდუა

ყირგიზული “ტიტაბის ბაყაფხული”

საფრთხე მეზობელი ქვეყნების ლიდერთათვის თუ ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი

ხათუნა ბაბიძე

როგორც გავლენიანი ფრანგული გაზეთი “ფიგარო” აღნიშნავს, ყირგიზეთში განვითარებული მოვლენები მოსკოვის კიდევ ერთი მარცხია.

“ყირგიზეთი პატარა და ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ მის ტერიტორიაზე განლაგებულია როგორც რუსეთის, ასევე, აშშ-ს სამხედრო ბაზები. გარდა ამისა, ყირგიზეთის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს გეოგრაფიული მდებარეობაც - რუსეთსა და ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს შორის. თუმცა, დემოკრატიულ პროცესებზე გადასვლა თავად ბიშკეკმა უნდა უზრუნველყოს და არა მოსკოვმა, ვაშინგტონმა თუ ბეკინგმა,” - წერს ესპანური გაზეთი “პაისი”.

ჩეხური გაზეთი “გოსპოდარსკე ნოვინი” კი მიიჩნევს, რომ ყირგიზეთზე გავლენის მოხდენის ცდუნება, შესაძლოა, მეტისმეტად მიმზიდველი აღმოჩნდეს შესახელმწიფოებისთვისაც და მეზობელი ქვეყნებისთვისაც; მათი ინტერესები უფრო ნათლადაა გამოკვეთილი, ვიდრე - თავად ყირგიზეთის რეგულაციის.

“ყირგიზული გაზაფხული” საკმაოდ არასასიამოვნო სიახლეა მეზობელი ქვეყნების ლიდერთათვის და შესაძლოა, ამათ უფრო მძიმე ეფექტი იქონიოს უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მოსახლეობისთვის,” - აღნიშნავს ანტროპოლოგი გაზეთი “შტანდარტი”, რომელიც, მსგავსი არასასიამოვნო სიუჟეტების თავდაზავილებების მიზნით, ცენტრალური აზიის რეგიონის ანტოკრატი მმართველების მხრიდან რეპრესიებსაც არ გამორიცხავს.

ბაზრადება A5 ბავარდუა

ენერგოკრიზისის საპარლამენტო პერსიები

“ზაზუნის გაყვანა რომ გვინდა, ამა რა გვეკონა?”

გიორგი ასანიშვილი

პლენარული სხდომების დაგვიანებით დანება პარლამენტის ერთგვარ “შტრიხ-კოდად” იქცა. გუშინაც, რამდენიმეგზის უშედეგო მცდელობის შემდეგ, კვორუმის შეგროვება რის ვაი-ვაგლახით მოხერხდა და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, 11 საათის ნაცვლად, 12 საათიდან შეუდგა მუშაობას.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მოთხოვნით, დაგვიანებული და გამცდენთა სია რეაგირებისთვის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს გადაეცა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე ამ მეთოდს გაუმართლებლად მიიჩნევს. მისი თქმით, ფრაქციის ზოგიერთი წევრის ავადმყოფობის შესახებ მან მხოლოდ უკანასკნელ წუთს შეიტყუ და მანდატურის სამსახურისთვის ამ ინფორმაციის გადაცემა ვერ მოასწრო. “რეგისტრაციის შედეგები ზოგჯერ მცდარ სურათს იძლევა და წარმოდგენას ვერ გვიქმნის, ვინ აცდეს საპატიო მიზეზით და ვინ - არასაპატიოთი,” - შენიშნავს ნადირაძე.

ფრაქცია “საქართველოს რეგიონების” თავმჯდომარე გივი ლიპარტიკიანი ითხოვს, რომ ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური პარლამენტში გამოცხადდეს და დეპუტატ-

ბაზრადება A3 ბავარდუა

აქიმაგი ძაგვის თავშასაფარი

გუშინ პროგრამა "ცხოვრების ჯანსაღი წესის" ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და სხვადასხვა კლინიკის წამყვანმა სპეციალისტებმა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ძეგვის სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრს მოინახულეს. მათ ძეგვის თავშესაფარში მაცხოვრებლებს უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს და 76 დასახელების მედიკამენტი გადასცეს.



ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.

თამარ ძვალი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის ძეგვის სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრში დღეს 160-მდე ადამიანი ცხოვრობს. ცენტრი 10 წლის წინათ, ფერისცვალების დედათა მონასტერში, ხუთი ბავშვის შემადგენლობით დაარსდა. უადგილობის გამო, ბავშვები ჯერ კრწანისის ტყე-პარკში გადაიყვანეს, შემდეგ - კოჯორის საერთო საცხოვრებელში, ცტახ ხანს კარავში მოწონათ ცხოვრებენ, ბოლოს კი ძეგვში დასახლდნენ. დღეს იქ, ბავშვების გარდა, რამდენიმე ოჯახიც ცხოვრობს.

უკვე ხუთი წელიწადია, რაც თავშესაფარში ახალი ნაკადი აღარ მოუღიათ. ჩასაცმელზე და პროდუქტზე მეტად აქ დასაქმებულს პრობლემა დგას. სახელმწიფო დაფინანსებაზე ეს სახლი არასდროს ყოფილა, აქედან გამომდინარე, აქაურები, ძირითადად, შემოწირულობებით ცხოვრობენ. მათი ძირითადი "მარჩენალი", როგორც თავად ამბობენ, კეიქერების ოჯახია. ხანმოკლეული გერმანელი ცოლ-ქმარი ყოველთვიურად იხდის ცენტრის კომუნალურ გადასახადებს, უგზავნის პროდუქტს და ჩასაცმელს.

ძეგვის სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრი ტიპურ ბავშვთა სახლი არ არის, სადაც გაერკვეული ასაკის შემდეგ ცხოვრება აღარ შეიძლება. აქ ისეთივე ცხოვრების წესით ცხოვრობენ, როგორც ჩვეულებრივ ოჯახში. ზოგი ქორწინდება და თვითნათ შეიღებოან ერთად აგრძელებს აქვე ცხოვრებას. საქართველოს ხელისუფლების მსგავსად, არც ქართველი ბიზნესმენები დაინტერესებულიან ამ ბავშვების ბედით. აქაურებს ხელისუფლების წარმომადგენელთაგან მხოლოდ ზურაბ ჟვანის სტუმრობა ახსოვთ. გამოჩენილი ადამიანებდან კი მათ სახანაგად ფეხბურთელი გიორგი ნემსაძე დღისი ხოლმე. იგი პატარებს ლამაზი ბალები აშენებასაც პირდებდა. მიუხედავად საბავშვოების უყურადღებობისა, აქაურები მაინც კარგად გრძნობენ თავს.

16 წლის ლიდა ნინუას აღარც კი ახსოვს, თავიდან სად ცხოვრობდა. რვა წლის წინათ, ბევრი სიარულის შემდეგ, მისმა ოჯახმა ძეგვის თავშესაფარს მიაკითხა. დღეს მისი თოხი და-ძმა და მშობლები მასტრედიამო, ერთ-ერთი ღონისძიარ მიერ შეძენილ სახლში ცხოვრობენ. თავად ლიდა კი ისე მიეჩვია აქაურობას, რომ ძეგვის გარდა, ცხოვრება ვერსად წარმოუდგენია. წელს ის და მისი მეგობარი ნატო მისალბი გამოცდები-

იმერეთი გუბარნატორის მორიბი გადადგომის მოღვაწეობა

აიაი მისხვარიშვილი

კათარისდას

ბოლო ათი დღის მანძილზე ქუთაისში ვრცელდება ინფორმაცია, რომ იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული გია გენაძე თანამდებობას მეროედ და უკვე საბოლოოდ ტოვებს. ეჭვს ისიც აღრმავებს, რომ გენაძე იმერეთის საშარეო ადმინისტრაციამი ორი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გუბერნატორი მხარეს სატელეფონო დირექტივებით მართავდა.

"სხვადასხვა საქმეებზე ვიყავი თბილისშიც და სხვა რაიონებშიც. იმერეთი დღია და ქუთაისში თუ არ გამოჩენდები ორი დღე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მივედიარ." - აცხადებს გია გენაძე "24 საათთან" საუბარში.

ოფიციალური ინფორმაციით, გენაძე თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა და მთავრობასთან გლეხებისთვის საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით დიხელის გამოყოფის დეტალებს აზუსტებდა. არაოფიციალური ინფორმაციით კი, იმერეთის გუბერნატორი თბილისში ახალ სამსახურთან დაკავშირებით კონსულტაციების გამო შეყოვნდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ გენაძე თავდაცვის მინისტრის მოადგილედ გადაჰყავთ. ამ ინფორმაციას, "24 საათთან" საუბარში, გუბერნატორი ჭირს უწოდებს.

მიუხედავად ამისა, ქუთაისში უკვე ლიად საუბრობენ გენაძის საგარეულო შემცველობაზე. ერთ-ერთი გერსიით, პრეზიდენტი ახალ რწმუნებულს იმერეთის საპარლამენტო დეპუტატადვე შერჩაწესა. სახელდებია ზონის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბოიბოხიძე, თერჯოლის მაჟორიტარი ბეჟან ზუცბერიკიძე და ვანის მაჟორიის მომავალი გუბერნატორების სიაში ყოფილი პარლამენტარი დემურ გიორგენიძეც გაჩნდა. ეს ინფორმაცია ინტენსიურად მას შემდეგ ვარცხნილა, რაც ქუთაისის მთავრობამ ადმინისტრატორი ინსპექციის უფროსის პოსტზე გიორგენიძის თანაგუნდელი სულხანა ქიზულაძე დაინიშნა.

ადგილობრივი გადასახადი ტაქდათვალირაბის ნაცვლად

თბილისის საკრებულო გუშინდელ სხდომაზე, 21 ხმით 14-ის წინააღმდეგ, ადგილობრივი გადასახადები დაამტკიცა. გუშინდელი გადაწყვეტილებით, კაზინოების მფლობელებისთვის არცთუ სასიამოვნო ცვლილება შევიდა საკრებულოს 16 მარტის გადაწყვეტილებში, რომლითაც საკრებულომ სათამაშო ბიზნესის გადასახადი დაამტკიცა. ახალი გადასახადი მსუბუქი ავტომობილების მფლობელთათვისაც დაესწესა.

ნანა ძადაზიშვილი

მსუბუქი ავტომობილების მფლობელთათვის ახალი გადასახადის განაკვეთი ავტომობილის ძრავების ჩაუტარდათ ექოსკოპია და სისხლის ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ძეგვში პატარების გასასინჯად ცნობილი პედიატრი ირაკლი ციციშვილიც ბრძანდებოდა.

"საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი თბილისის ყოველთვიურად აწყობს მსგავს გასვლებს. ჩვენ წინასწარ უკავაშრდებით რაიონულ ცენტრებს და ვგებულობთ, თუ რა ტიპის სპეციალისტები და მედიკამენტები სურთ. მაგალითად, დღემთი ყელ-უურის სპეციალისტის ჩაყვანა ვთხოვეს. ლანჩხუთში, ბოლო მონაცემების მიხედვით, ონკოლოგიურმა დაავადებებმა იმატა და შესაბამისი სპეციალისტები ჩაიყვანეთ. საერთო მაყვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გახშირებულია გულსისხლძარღვთა დაავადებები." - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას პროგრამა "ცხოვრების ჯანსაღი წესის" კოორდინატორმა ნატო მისალბისაშვილმა.

საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებითვე, სათამაშო ბიზნესის



გია გენაძე 'იმერეთის ბიზნესმენთა ასოციაციის' პრეზენტაციოზე.

რეგიონის მოსახლეობა გენაძის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე კიდევ ერთხელ ატეხილი აეთოტაის მიმართ ინდიფერენტულია.

გია გენაძე რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებს ნაკლებად ეცნობა და ინფორმაციას ძირითადად ახლო გარემოციდან, უფრო სწორად მოადგილეებისგან იღებს. სამაგიეროდ, გენაძის გადაწყვეტილებებს ვიცე-გუბერნატორები პრესით და ტელევიზიით იგებენ, როგორც ეს მისი პირველი გადაგომა-გადმოდგომის დროს მოხდა. ვიცე-გუბერნატორები არც ამჟამად ფლობენ რაიმე ინფორმაციას მათი ხელმძღვანელის მორიგი გადადგომის თაობაზე.

ქუთაისში გენაძის კადრმწარებაზე დაკავშირებით კიდევ ერთი გერსია ვრცელდება. ამ გერსიის თანახმად, იმერეთის გუბერნატორი მორიგი საკადრო ცვლილებების განსხვავრციელდებლად ემზადება. როგორც ირკვევა, ქუთაისის მთავრობის შემდეგ ჯერი საშარეო ადმინისტრაციის წმენდაზე მიდგა, კერძოდ, საქმე რამ-

დენიმე ვიცე-გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლებას ეხება. უკვე ლიად საუბრობენ, რომ რწმუნებულის ერთ-ერთი მოადგილე შალვა დათუაძე ბაღდათის გამგებლად გააფასყავთ.

"ეს არის მტკნარი სიცრუე. ამ საკითხზე საუბარიც არ არის. მე, როგორც ბაღდათის "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, რეკომენდაციას გია რობაქიძეს ვუწვევბაღდათის გამგეობის თანამდებობაზე, რომელიც უკვე ორი კვირამ ამ მოვალეობას ასრულებს." - აცხადებს ვიცე-გუბერნატორი შალვა დათუაძე "24 საათთან" საუბარში.

კიდევ ერთი ვიცე-გუბერნატორის გიგა შუმანიას თანამდებობაზე პასუხისმგებლობის საკითხი მას შემდეგ გაირკვევა, რაც მისი დგუერტირობის საქმის მოკვლევის სამხარეო პროკურატურა საბოლოოდ დასრულებს.

იმერეთის გუბერნატორი იმერეთის საშარეო ადმინისტრაციამი მოსალოდნელი საკადრო წმენდის თაო-

ბაზე გაერცელებული ინფორმაციას უარყოფს, ისევე როგორც ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერის გიგი ჯიბლაძის სამტრედიის გამგებლის მოადგილის თანამდებონი მოვარების სხვა წევრები იყვნენ, ტროლეიბუსთა ასოელი პოსტზე მოსალოდნელ დაინშენას.

"ორივე ინფორმაციას პირველად ვისმერ თქვენწარ" - აცხადებს "24 საათთან" საუბარში გია გენაძე. იმერეთიდან ორკვირიანი გაუჩინარების შემდეგ, 25 მარტს გია გენაძე თავის სამუშაო კაბინეტსა და ქუთაისის "ესტუმრა". მხარეში რწმუნებულის ვიზიტის მიზეზი ქუთაისში "იმერეთის ბიზნესმენთა ასოციაციის" პრეზენტაცია გახდა, რომელიც უშუალოდ გია გენაძის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. ასოციაცია, რომელსაც სათავეში სს "ფეროშენადნობთა ქარხნის" გენერალური დირექტორი ნიკა ჩიქოვანი ჩაუდგა, იმერეთში გაყინული სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობის გამოცოცხლებას ისახავს მიზნად. "ფეროშენადნობთა ქარხნის" ინიციატივით, მაისში ქუთაისში ახალგაზრდული გასართობი ცენტრი გაიხსენება.

ახალი ტროლეიბუსები კარგია, თუ შუქი გვექვსნებია, - ამბობდა ხალხი. ლექტორინერგია კი რუსთაველის დიდ ნაწილს უკვე ერთი კვირია, თვალთ არ უნახებუი. "გართიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიაშ" რუსთაველ ყველა რეკორდი მოისნსა და მოსახლეობას 24 საათის განმავლობაში ერთი წუთითაც კი არ ანდის დებს.

"ჩვენი მოთმინების ფიალა უკვე ავსოა. რუსეთი ელექტრენერგიის საფასურს პირნათლად იხდის და ისინი ვალდებული არიან, კარგ ვალდებულს ელექტრენერგია მიაწოდნ" - აცხადებს ქალაქის მერი მერაბ ტყემელაშვილი.

მაია მოსიაშვილი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სლომე ზურაბიშვილის შეფასებით, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საგარეოელობის ჩანსილმა იქნება "ყველაზე ნაყოლი და კონკრეტული მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისათვის".

მისივე თქმით, ძალზე მნიშვნელოვანი გაგრძელება იქნება, თუ ბუში საქართველოში მოსკოვიდან ჩამოვა. როგორც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოში ვიზიტის დღის წესრიგი ჯერჯერობით უცნობია. უცნობია ასევე, რამდენხანს დაჰყოფს ამერიკის პრეზიდენტი საქართველოში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■ **თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო შეშფოთებას გამოიწვევს აფხაზეთის სკოლებში მოწაველთა თვითგველების ფაქტების გასარკვევად და მზუუნების გასარკვევად სპეციალურ კომისიას ქმნის.

აფხაზეთის სკოლებში მოწაველთა თვითგველების გახშირების საკითხზე განათლების სამინისტროს სპეციალურმა კოლეგიამ იმსჯელა, რომლის შემთხვებში აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების ხელმძღვანელებმა მიიღეს მონაწილეობა. მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში აფხაზეთში მოწაველთა მობრის თვითგველების 4 ფაქტი დაფიქსირდა. სიცოცხლე თვითგველობით დასრულებს გვადუთის N1 საშუალო სკოლის მისწავლელ ინალ ხაბაძე, სოხუმის N10 სკოლის მისწავლეებმა ესმა ჭქიფაძე, იმარ კაპხა და ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდლის საშუალო სკოლის მოსწაველემ მუსო პალაგანიძმა. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განათლების მინისტრის ინიცია ვარდაბის განცხადებით, განათლების სისტემის შესვეურება არ აქვთ უფლება, რეაგირების გარეშე დატვირთ მოსწავლეთა მობრის თვითგველობის ფაქტები და არ გაერკვენ იმ პედაგოგურ და სხვა სახის მცოდნეობი, რომლებმაც ისინი განაპირობეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■ **თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის "ლოლოს" სახანაუო ცენტრში საზღვიო ვიარაგებთა დაიბრუნა წერხობით, რომელიც "მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის" და მომარაგების" საკითხებზე სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქართველო სასაზღვო კურსის საქართველოს სასაზღვო უწყებასა და თურქეთის შვიარაღებულთა ძალების გენერალურ მჭაბს მობრის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობების საფუძველზე ჩატარდება და მასში მონაწილეობენ ქვეყნული უზრუნველყოფის რეგიონალური სასაზღვროების 16-მა ქართიველმა ოფიცირმა მიიღო მონაწილეობა. უკრამდამთავრობების სწავლების დასრულების დამთავსტურებული სერტიფიკატები გადაეცით. **ინტერ-პრესი**

მომიე სოციალური მდგომარეობაში ჩაჯარდნილ მოსახლეობას. აღნიშნულ კატეგორიაში დაახლოებით 650 კაცი მოიარაგება, რომელსაც, დაქტობრივად, თავისმა ხელისუფლებამ სასოკვილო განაჩენი გაა მოუტანა. ჯერ კიდევ 1996 წელს პრეზიდენტმა შევარდნაძემ, შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ, ახლა კი - ბატონმა განაჩენმა, "ღირსეულად" გააგრძელა თავისი წინამორმედის ტრადიცია და ამ კანონის ამოქმედება 2003-2004 წლებში 2006 წლამდე გადადო," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას, ვეტერანთა კავშირ "ღირსების" თავმჯდომარემ თემურ კოზორაშვილმა. მიხივე თქმით, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან ფერაძემ, რაც ფერაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუმში განაცხადა, რომ შეღვათებით ყველა ვეტერანს მოუხსენდა.

ლევან ფერაძე აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ სამსახურიდან თადარიგში დათხოვნერა პირთა და მათი ოჯახის წევრთა საცნსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონში ჩამოთვლილი მუხლების ამოქმედება 2006 წლის 1 იანვრამდეა გადადებული, რაც სახელმწიფოს მხრიდან ვეტერანების მიმართ არაკანონიერ მიმდინარე მტყვევლებს. **"აღნიშნულ კანონში არსებობს ჩამონათვალი, თუ რომელი მუხლების მოქმედება უნდა შეჩერდეს 2006 წლამდე. მათ შორის არის მე-17-ე მუხლიც, რომელიც იწინადგობის უპსიის დანიშვნის პირობებს შეეხება. ამ კანონის უმოქმედობა პრობლემას უქმნის ისედაც**

ეს სიტყვები მას არ უთქვამს და იგი სტატიაში უერნალისტმა ჩაამატა.

"მე ვეტერანების შესახებ არფერი მითქვამს. ვეტერანებისთვის შეღვათების მოხსნის საკითხი სახელმწიფოს გადასანწყევლია და არა ჩვენი პარტია" **ვეტერანებისთვის შეღვათების მოხსნის საკითხი სახელმწიფოს გადასანწყევლია და არა ჩვენი პარტია"** **ვეტერანებისთვის შეღვათების მოხსნის საკითხი სახელმწიფოს გადასანწყევლია და არა ჩვენი პარტია"** **ვეტერანებისთვის შეღვათების მოხსნის საკითხი სახელმწიფოს გადასანწყევლია და არა ჩვენი პარტია"**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ინფორმაცია შეღვათების გაუქმების შესახებ არასწორ პარტეიენტის თავმჯდომარემ ლევან ფერაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუმში განაცხადა, რომ შეღვათებით ყველა ვეტერანს მოუხსენდა.

ლევან ფერაძე აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ

ვეტირანები ხალისოფლობისაგან შეღავათიხის შენარჩუნებას მოითხოვენ

თუკი საქართველოს ხელისუფლება ომის ვეტერანებსა და ინვალიდებს შეღავათებს გაუუქმებს, ვეტერანები საპროტესტო აქციების გამართვით იმუქებიან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეღავათების გაუქმების შესახებ ინფორმაციას უარყოფენ, თუმცა ვეტერანები დაფინებით ატკიცებენ, რომ მათ შეღავათები უკვე შეწყვეტილი აქვთ. ვეტერანები საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენებასაც სთხოვენ, რათა მან პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს და საქართველოს კანონის 225-ე მუხლში ცვლილებები შეიტანოს.

თამარ ძვალი

"შეიძლება კაცს, რომელიც საზსახურის მესრულების დროს დაინვალიდდა და გახდა შრომის უუნარ, არ მიეცეთ პენსია? მაშინ გვიოხრან, რითი იარსებენ ამ ადამიანებმა..." - ეს კითხვა საქართველოს ვეტერანებს საკუთარი ხელისუფლების მიმართ გაუწიდათ.

ვეტერანი თემურ კოზოლაშვილი კანონში არსებული ხარვეზების შესახებ საუბრობს. მისი თქმით, "სამხედრო, მინავან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური

ენობრივი პოლიტიკა

რუსადან ამირაზიზი

მულტიეთნიკური საზოგადოების ერთ ერად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ენას. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმატებული ინტეგრაციისათვის ეროვნულ სახელმწიფოში აუცილებელია იმგვარი ენობრივი პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული იდენტობის გაძლიერებას და ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ეროვნულ მოქალაქეებად გადაქცევას.

სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდ, მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ერისა და იმავე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური იდენტობა. (ტერმინში *ერი* ვგულისხმობ მის თანამედროვე გაგებას). ეთნიკური იდენტობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ემყარება ეთნიკურ ენას, ხოლო ეროვნული იდენტობა, ასევე სხვა ფაქტორებთან ერთად, ემყარება სახელმწიფო ეროვნულ ენას, ანუ საქართველოში მცხოვრებ სომებს, მაგალითად, ექნება ეთნიკური იდენტობა სომხური, ხოლო ეროვნული იდენტობა - ქართული. აქედან გამომდინარეობს, რომ დასაშვებია ორმავე ენობრივი იდენტობის ქონა. ადამიანს შეიძლება მეტი ენობრივი იდენტობაც ჰქონდეს, ვთქვათ სხვადასხვა ეროვნების მშობლების შვილს, რომლისთვისაც დედ-მამის ენა ორივე მშობლიურია. იგი არა მარტო ორმავე ენობრივ იდენტობას ფლობს, არამედ ორმავე ეთნიკურ, და შესაძლოა, ორმავე ეროვნულ იდენტობასაც. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოსგან არ უნდა მოხდეს ზედნაა ერთობის ასარჩევად. ეს ინდივიდის პრეროგატივაა.

ჩვენი მიზანი არაქართველთა ეთნიკური იდენტობის ამძოვებურა კი არ უნდა იყოს, არამედ მათთვის ქართული ეროვნული იდენტობის შექმნა. და რადგანაც ეროვნულ იდენტობას ენაც განსაზღვრავს, ქართული ენობრივი იდენტობის ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ფუნქციონირების ოპტიმიზაციას, ე.ი. მისი მოხმარების სფეროთა გაზრდას, მის ყოველმხრივ განვითარებას, სალტერატურო ნის წორმალიზაციას, მასზე დაფუძნებულ განათლების სისტემას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და სხვ. ეს არის ენობრივი მშენებლობა - ენობრივი პოლიტიკის ერთი მხარე. ენობრივი პოლიტიკის მეორე მხარე გახლავთ უმცირესობათა ენებზე ზრუნვა, მათი ენობრივი უფლებების დაცვა. ერთად ეს ორი მხარე, ანუ ენობრივი პოლიტიკა წარმოადგენს თეორიულ პრინციპთა და პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სახელმწიფოში ენობრივ პრობლემათა გადასაჭრელად. ენობრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია კანონი ენის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ენა უნდა იხმარებოდეს

ამა თუ იმ სოციალურ სიტუაციაში.

ენობრივი პოლიტიკის რამდენიმე ტიპი არსებობს და მათგან სწორის შერჩევა პრიორიტეტული უნდა გახდეს ჩვენი ხელისუფლებისათვის სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებულ რეკომენდაციებს სწორი ენობრივი პოლიტიკის შერჩევის, შეუღებისა და გატარებისათვის ქვემოთ შემოგთავაზებთ. მანამდე კი მოკლედ შევეხები სწორი ენობრივი პოლიტიკის გადამწყვეტ მნიშვნელობას, დემოკრატიულ პრინციპებს ენობრივ პოლიტიკაში და საქართველოს ენობრივ სფერას.

საბჭოთა კავშირში ენა, რეპრესიებთან ერთად სოციალური მობოლიზაციის და საბჭოთა ხალხის კონსტრუირების მძლავრი იარაღი იყო. საბჭოთა კავშირში ერთიანი იდენტობის მშენებლობის იდეოლოგიურ სტრატეგიასთან, ეროვნული გრძნობების გამოვლენების ჩახშობასთან ერთად, ახორციელებდა ეთნოეროვნულ უმცირესობათა, როგორც პოტენციურ ტერიტორიულ მოკავშირეთა მხარდაჭერის პოლიტიკასაც. საბჭოთა სივრცის პოსტსაბჭოთად გადაქცევაშ გამოიწვია სოციალურ-ფსიქოლოგიური თვითიდენტიფიკაციის წგრევა და გააქტიურა იდენტობის დაფარული განზომილებანი. საბჭოთა იდენტობა დავიწყებას მიეცა. სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ეთნიკურობის რესურსს. ორგანიზაციულად გაეროზრმდნენ და გავლენა მოიხვედეს საკუთარი პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლა ეროვნულმა მოძრაობებმა. ამ მოძრაობებში ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ენა მოგვეღონა, რადგანაც ენა უდიდეს ფსიქოლოგიურ როლს თამაშობს ჯგუფებისა და ინდივიდების ღირსებასა და სიამაყის გრძნობაში. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა ერებს. აბორიგენული ენების სტატუსი დანაგრული ერების მიერ აღიქმება, როგორც ჯგუფური ღირსების სიმბოლო.

ენა ეთნოპოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, ვინაიდან მრავალენოვან ქვეყნებში მწვავედ დგას პოტენციური პრობლემის საფრთხე მოცემული ეთნიკური ჯგუფების მიმართ ლოიალობასა და უფრო ფართო ეროვნულ ლოიალობას შორის. თუ ეთნიკურმა ჯგუფებმა ვერ მიიღეს კულტურული და ენობრივი თვითყოფადობის შენარჩუნების უფლება, მოხდება ეთნიკური ბიზისა და ენის პოლიტიზება. ამის უკიდურესი გამოხატულება გახლავთ სეპარატუიზმი ან ალტერნატიული პოლიტიკური ლოიალობის ძებნა სხვა სახელმწიფოში. და, პირიქით, თუ ეთნიკურ უმცირესობას ექმნება პრობლემა თავისი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისთვის, ეთნოსის პოლიტიკური ანგაჟირების ხარისხი იკლებს.

თანამედროვე მსოფლიოს

ქვეყნების უმრავლესობა მულტიეთნიკური და მულტიენოვანია. რომელია ყველაზე უკეთესი და დემოკრატიული ენობრივი პოლიტიკა: ის, რომელიც ხელს უწყობს ასიმილაციას თუ ის, რომელიც ხელს უწყობს ენობრივ პლურალიზმს. რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვება თითოეულ მათგანს? ამ კითხვებზე პასუხის პოვნა, პირველ რიგში, შეიძლება საერთაშორისო გამოცდილებაში, მეორე რიგში კი, ყოველი კონკრეტული შემთხვევის კონტექსტის გაანალიზებით. როგორც ნეის, ეთნიკურ პარმონიას ხელი ეწყობა იმ ქვეყანაში, რომელიც აღიარებს ენობრივ პლურალიზმს, უმცირესობათა ენობრივ უფლებებს, მაგრამ იმავდროულად აყალიბებს ერთიან, სამოქალაქო და კულტურულ იდენტობას. კონკრეტულ ღონისძიებათა ნუსხა უნდა გამომდინარეობდეს თითოეული ქვეყნის სპეციფიკიდან. მიუხედავად ამისა, ყოველ მათგანში ერთ-ერთი ფუნდამენტურია სოციალური ინტეგრაცია, დაფუძნებული სწორ სავან-მანათლებლო პოლიტიკაზე. ადამიანი თავის იდენტობის შესაწარმუნებლად აუცილებლად უნდა მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, ხოლო წარმატებული ინტეგრაციისათვის კი სრულფასოვნად უნდა აითვისოს სახელმწიფო ენა. პლურალისტური ენობრივ პოლიტიკის პრივილეგია ის არის, რომ უმცირესობისათვის საზოგადოების კულტურაში ადგილის მინიჭებით, ის წარმოადგენს პრექტუული და აგრეთვე სიმბოლური ჩართულობის პოლიტიკას. მოქალაქეებს სჭირდებათ თანამონაწილეობის გრძნობა. სწორედ ეს გრძნობა აერთიანებს მათ ერთად.

დაღეს საქართველოში აქტუალურად დგას ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხი, ვინაიდან ეს ურთიერთობები ეროვნულად განსაზღვრული განვითარებული კონტექსტში წარმოიშეება. ქართულენოვან და არაქართულენოვან მოსახლეობას შორის სერიოზულ პრობლემად დგება ე.წ. ენობრივი ბარიერი, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი ხარისხისა. სახელმწიფო ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის მისაღებად (რაც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა) აუცილებელია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამას უზრუნველყოფს სწორი ენობრივი პოლიტიკა. ენობრივი პოლიტიკის თეორიის ისტორია მომზბას იმას, რომ საზოგადოების ენის ფუნქციონირებაზე წარმატებული გავლენა შესაძლებელი გამხდარა ენის განვითარების ტენდენციებთან და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია გასატარებელი ენობრივი პოლიტიკის სწორი ტიპის არჩევა და მისი ეტაპების სწორად განსაზღვრა.

2000 წელს სტრასბურგში ჩატარებული კონფერენციისათვის ენობრივი პოლიტიკის შესახებ მომზადდა დოკუმენტი სახელ-

წოდებით "მულტილინგუური და მულტიკულტურული ევროპის ლინგვისტური პოლიტიკა", რომელშიც აღნიშნულია, რომ რაციონალური ენობრივი პოლიტიკა შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ რეგიონის ენობრივი სიტუაციის შესახებ სისტემურ ცოდნას. ამასთან, პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ევროპული მშენებლობისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პრინციპი:

- ენათა და კულტურათა მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ადამიანის ენობრივი და პოლიტიკური უფლებები (ენობრივი უფლება გულისხმობს უფლებათა კომპლექსს, რომელიც მოიცავს როგორც ენის ხმარების უფლებას, ასევე იმ კულტურის განვითარების უფლებასაც, რომლის ფარგლებშიც იხმარება ეს ენა. დემოკრატიულ სახელმწიფოებში აკრძალულია პრივილეგიების მინიჭება ან უფლებათა შეზღუდვა ენობრივი ნიშნის მიხედვით) - ამ განხრით ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული მიმართულებების დანერგვა. საქართველოში მიმდინარე ენობრივ-ეთნიკური პროცესების უკეთ გასაგებად აუცილებელია, გავისწნოთ საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ძირითადი ეტაპები.

1930 წლებამდე კომუნისტური პარტია და სახელმწიფო ატარებდა კურსს, რომელიც მხარს უჭერდა არარესთა განვითარების საზოგადოების კულტურაში ადგილის მინიჭებით, ის წარმოადგენს პრექტუული და აგრეთვე სიმბოლური ჩართულობის პოლიტიკას. მოქალაქეებს სჭირდებათ თანამონაწილეობის გრძნობა. სწორედ ეს გრძნობა აერთიანებს მათ ერთად.

1930-იანი წლებიდან 50-იანი წლების ბოლომდე გაიზარდა რუსულენოვანი სკოლების რიცხვი. მშობელი დადგა არჩევანის წინაშე: ბავშვი მიეყვანა ან ნაციონალურ სკოლაში ან რუსულში. მეორე მშობელი ირჩევდა რუსულს, შეიღისთვის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან რუსული ითვლებოდა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების იერარქიული სისტემის ენად, მეცნიერებისა და კულტურის ენად და აუცილებელი იყო პროფესიულ-სოციალური მობილურობისათვის (ეროვნულ-რუსული ორენოვნება).

1960 წლიდან ბევრ ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიხურა ნაციონალური სკოლების უმეტესობა (ერთნოვნება და ლინგვისტური რუსიფიკაცია).

1985 წლიდან, დემოკრატიზაციის, გლასნოსტისა და პერესტროიკის გამოცხადებამ კომპარტისტის მიერ, რომელიც გრძნობდა რეფორმების გატარების აუცილებლობას ხელისუფლების შეწანარჩუნებლად, ხელი შეუწყო ყველა ეთნიკური ჯგუფის იდენისათვის აღორძინებას. ამ მიზეზით 80-იანი წლების ბოლოს ყვე-

ლა რესპუბლიკაში დაიწყო ნაციონალურ ტერიტორიათა და ენის სტატუსის ასამაღლებელი მოძრაობები. პოსტსაბჭოთა სივრცეში შემცირდა რუსული ენის ხმარებაც და შესწავლაც, შეიზღუდა ტელე-რადიო მაუწყებლობა. მაგრამ რუსული ენის ფუნქციონირების კიდევ ერთი სფერო ამ ქვეყნებში იყო და დღესაც არის ეროვნებათშორისი ურთიერთობა.

საქართველოში ქართული, სახელმწიფო ენის სტატუსის მიუხედავად, არ წარმოადგენს ეროვნებათშორისი ურთიერთობების ენას. ამ და სხვა ენობრივი პრობლემების ციცილიზებული მეთოდებით გადაჭრის გზა არის ენობრივი პოლიტიკის სამართლიანად და ეფექტურად წარმართვა.

საქართველოში ეფექტური ენობრივი პოლიტიკის გატარებამდე:

1) შესწავილილი უნდა იქნეს ენობრივი სიტუაცია ქვეყანაში; ენობრივი სიტუაცია განსაზღვრულია რიგი ფაქტორებით: ღონის დანერგვა. საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური, გეოგრაფიკული და ისტორიული;

2) უნდა ჩატარდეს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ ენობრივ უფლებათა ანალიზი;

3) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები და გაანალიზდეს ამ უფლებათა განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკა;

4) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ავტოქთონური ენის და მის მატარებელთა როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკასა და კულტურაში. გამოიკეთოს, რას ეფუძნება ავტოქთონური ერების კულტურულ-ენობრივი უფლებები და განსხვავდება ისინი სხვა ეთნიკურ ჯგუფთა უფლებებისაგან;

5) ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული ეთნიკური ჯგუფის ენობრივ პრეტენზიებს. ეთნიკური ენობრივი პრეტენზიები დაამოკუდებულია ამ ჯგუფის სახელმწიფოში ჩართულობის ფორმაზე;

6) შესწავილ უნდა იქნეს ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს ენობრივ კონფლიქტებს და დასაზულ იქნეს გზები მათ თავიდან ასაცილებლად;

ამგვარი ანალიზის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სისტემური გეგმა ენობრივი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც სხვა ასპექტებთან (კონფესიურ-რელიგიურ და სოციალურ-ეკონომიკურთან) ერთად საფუძვლად უნდა დაედოს პოლილინგვისტურ საზოგადოების ინტეგრაციას. საქართველოს უმნიშვნელოვნებაში არის აღორძინება. ამ მიზეზით 80-იანი წლების ბოლოს ყვე-

ერთიანი ერის შექმნა, რომელშიც სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური ჯგუფი გაერთიანდებოდა ურთიერთმომგებობის, საერთო ინტერსების, მიზნებისა და ღირებულებების გარშემო. ეროვნული ენობრივი პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთი გარანტი კი არის ბალანსის დაცვა ეთნიკურ ენათა და სახელმწიფო ენის მოხმარებას შორის. ენობრივი პოლიტიკა უნდა გახდეს სახელმწიფოს ეთნოპოლიტიკის ნაწილი, რომლის შემუშავებისასაც ყველა ეთნიკურ ჯგუფს უნდა მიეცეს საშუალება, შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, განავითაროს იგი, შეინახოს კულტურა, ტრადიციები, ენა. მაშინ იგი თავის წვლილს შეიტანს ქართული საზოგადოების ინტეგრაციაში და კონსოლიდაციაში, მოქალაქეობრივი საზოგადოების განვითარებაში, სოციალურ სტაბილურობასა და დემოკრატიის გაღრმავებაში. იმის მაგივრად, რომ ეთნიკურ უმცირესობებს აფუკჩაღიოთ ოფიციალურ დონეზე თავიანთი ენის ხმარება, პირველ რიგში უნდა შეუქმნათ სათანადო პირობები ქართულის ასათვისებლად: ქართული ენის სწავლება ეთნიკურ უმცირესობებში უნდა გაუმჯო-რდეს სპეციალური მეთოდების შემუშავებით; სახელმძღვანელოების, თვითმასწავლებლების, სასაუბროების შექმნის; კვალიფიკური პედაგოგების მომზადებით.

საქართველოს ენობრივ პოლიტიკაში:

1) გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩვენი ევროპული ორიენტაცია და საერთაშორისო ვალდებულებები ენის ფუნქციონირების სფეროში;

2) აუცილებლად იქნეს მიჩნეული კულტურულ-ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება, როგორც ეროვნებათშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პირობა;

3) ხაზი გავსვას ქართული საზოგადოების მრავალენიკური უმცირესობისა და ეს ფაქტი ჩაითვალოს ფასეულობად, შეფასდეს დადებითად;

4) უნდა შემუშავდეს ოპტიმალური ენის კანონი, რომელიც მრავალენოვანი კულტურის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

5) ვინაიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რომლითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის ენობრივ პოლიტიკას, არის განათლების სისტემა, უნდა განისაზღვროს რომელი ენები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში და რამდენ ხანს.

6) საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შედგეს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და ბავშვს ჩაუსახოს ტლერანსტობა სხვა კულტურების მიმართ. სწორად გატარებული ენობრივი

პოლიტიკა საშუალებას აძლევს ეთნიკურ უმცირესობას უფრო აქტიურად და შეუზღუდავად, იდენტობის დაკარგვის გარეშე ჩაებას ქვეყნის ცხოვრებაში.

7) უნდა შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები ეთნიკურ უმცირესობათა ენების მხარდასაჭერად და სახელმწიფო ენის გასავითარებლად;

8) ეთნიკურ უმცირესობებს უნდა მიეცეთ საშუალება, ისწავლონ მშობლიურ ენაზე;

ხოლო იმ ენებზე ზრუნვა კი, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული, საქართველოს განსაკუთრებული მოვალეობაა.

მოსაზრება, რომ თითქოს ეთნიკურ უმცირესობათათვის კულტურულ-ენობრივი განვითარების საშუალების მიცემა საბიზოთაო სახელმწიფოს ერთიანობისათვის, დიდი ხანია დისკრედიტაცია განიცადა თანამედროვე მეცნიერებაში.

ენობრივი პოლიტიკის შემუშავება მხოლოდ პოლიტიკოსების საქმე არ არის. ბევრი ენობრივ პრობლემის შესწავლამ მსოფლიოში ცხადყო, რომ მათ ქვეშ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონფლიქტები ძევს. კონკრეტული ენობრივი პრობლემების გაანალიზების შედეგად ცხადი ხდება მრავალგვარი ინფორმების ფლობის აუცილებლობა. მოცემული არგუმლის ენობრივ სიტუაციაში გასარკვევად არ არის საქმარის მარტივი კითხვის დასმა: "რა ენებს ფლობთ?" ამიტომ ამ ინფორმაციის შეგროვება და კონსულტაციებში უნდა მონაწილეობდეს ბევრი სხვადასხვა დარგის სპეციალისტი: ლინგვისტები, პოლიტიკური ეკონომისტები, სოციოლოგები და სოციალთნოპოლოგები. გარდა ამისა, ვინაიდან ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი ყველა ჯგუფის სახელმწიფო ცხოვრებაში ჩართვაა, მასზე მუშაობაშიც აუცილებელია ამ ჯგუფების მონაწილეობა. შემდეგ კი ენობრივი პოლიტიკა საჯარო განხილვის საგანი უნდა გახდეს და მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვოს. ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს მოსახლეობა ენობრივი პოლიტიკის სასიკეთო გავლენაში. მოსახლეობამ შეიძლება, მთლიანად გაიზიაროს, ნაწილობრივ გაიზიაროს ან საერთოდ არ გაიზიაროს იგი. გაზიარების ხარისხით შეგძლია ვიმსჯელოთ ენობრივი პოლიტიკის სწორად წარმოების შედეგებზე.

დაუშვებელია ენობრივი პოლიტიკის ნაქტარეად მომზადება, მაგრამ მასზე მუშაობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს, ვინაიდან ენა დიდ როლს თამაშობს როგორც ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობაში, ისე თანხმობის შეწარმუნებაში.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში არსებული ქუჩების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 10 პოზიციად (ლოტად):
 - ჩაჩავას ქუჩა
 - საარბრუკენის მოედნისა და მისი მიმდებარე ხიდის ქუჩა
 - ცხრა მძის ქუჩა
 - პ. მარბაძის ქუჩა
 - კანდელაკის ქუჩა
 - ჯ. ბაგრატიონის ქუჩა
 - ხოშარაულის ქუჩა
 - აგლაძის ქუჩა (ვახუშტის სახ. ხიდიდან ელიავას ბაზრობამდე)
 - ავტოსტრადიდან აეროპორტში მისასვლელი გზა
 - ავტოსტრადიდან აეროპორტში მისასვლელი გზის გადაკვეთის სატრანსპორტო კვანძი.
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი, ტროტუარის საფარი, ბორდიურები და სანიაღვრე სისტემა.
- მიწოდების სავალდებულო გადამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 30 სექტემბერს.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 აპრილის 12 საათიდან 12 აპრილის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - ოურიდიული პირისათვის:
 - ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სა-ნაციოს საქმე;
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყაღდა;
 - ცნობები შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მიიღეს სრულშედეგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
 - ფიზიკური პირისათვის:
 - ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
 - ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
 - როგორც ფიზიკური, ასევე ოურიდიული პირისათვის:
 - ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალგოიური მიწოდების შე-სახებ;
 - ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობლობა-დანადგარების შესახებ;
 - ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
 - ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.
- ოურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიყოს საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გა-დახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 14 აპრილის 12 საათიდან 15 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია პოზიციების მიხედვით გამოვლენილ იქნას რამდენიმე გამარჯვებული, რომელთაც სამუშაოების მიწო-დების განხორციელების უფლება შეიძლება მიენიჭეთ შესყიდვის ობიექტის პოზიციების მიხედვით.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგ ზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

სატენდერო კომისია

ინტელექტუალური პლასტიკური ბარათით

უკვე შეგიძლიათ გაზის და წყლის

გადასახადო ბარათი

დაარსების დღიდან ინტელექტბანკი მუდამ ზრდის მოხმარებისადმი შეთავაზებული პროდუქტების ნუსხას და მატებს მათ ახალ დამატებით თვისებებს, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს მაქსიმალურად კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი გახლავთ პირველი ქართული ბანკი, რომელმაც პლასტიკური ბარათის მომხმარებელს შესთავაზა მობილური ტელეფონითა და ინტერნეტით მომსახურება. ინტელექტბანკის კლიენტს საშუალება აქვს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს კომფორტული მომსახურებით, კერძოდ: შეამოწმოს ბარათზე არსებული ნაშთი; მიიღოს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის და გახარჯვის შეტყობინება; დაბლოკოს ან მოხსნას ბლოკი ბარათს

ყირგიული "ტიტაზის გაზაფხული"

საფრთხე მეზობელი ქვეყნების ლიდერთათვის თუ ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი და უკანასკნელი პრეცედენტი

რუსეთის ერთი საინტერესო თემაა აქვს - თუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი კრემლის საგარეო პოლიტიკა აგრესიულ ხასიათს ატარებს, რევოლუციების შემდეგ ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულება უფრო პრაგმატული ხდება, რისი ნათელი დადასტურებაცაა საქართველო და უკრაინა.

"დემოკრატიის ალი ერთიობის მყოფლებით სწვდება ყოფილი საბჭოთა იმპერიის ქვეყნებს. იგი ანგრევს ყოფილი პრო-რუსული რეჟიმების საძირკველს და ისინიც დომინოს ქეპიებით ინგრევიან. საცვებით ბუნებრივია, რომ აშშ და ევროკავშირი მხარს უჭერენ აღნიშნულ დემოკრატიულ მოძრაობას, მაგრამ დასავლეთის მიერ დარღულ ყვავილებს სათუთი მოვლა ესაჭიროება," - წერს ფრანგული "ლიბერასიონი". გარდა ამისა, გაზეთი პოტენციურ საფრთხეზეც საუბრობს, რომელიც შეიძლება დემოკრატიის ნაპერწკალმა შეექმნას ისეთ არასტაბილურ და ფეთქებად სასაშიშროებოში, როგორიც ცენტრალური აზიაა, რადგან არაა გაემორიცხული, იგი რადიკალური ისლამის მომხრეებმა გამოიყვნონ.

იმის გასარკვევად, თუ რას ფიქრობენ რუსულ პოლიტიკურ წრეებში და რას წერენ რუსული გაზეთები, ამჯერად უკვე ისლამურ ქვეყანაში მომხდარ რევოლუციანზე, მხოლოდ სტატტიების სათაურებისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია. "აკავება ბიშკეკი დათმო!" ("ნეზესიშიაია გაზეტა"); "ვინ იქნება შემდეგი?" ("ნოვიე იზეესტია"); "ტიტებს სისხლის სუნი უდით" ("კრასნაია ზეგლედა" და ბოლოს, "შექანეური ფორთოხალი" ("როსიისკაია გაზეტა").

"ტიტების, ყვითელი, გარგრის - ყველა ეს ტერმინი უადგილო აღმოჩნდა ყირგიზეთში გან-



ვითარებული მოვლენების შემდეგ. როცა სისხლი იღვრება, ყოველგვარი ქარაგმები მკრებლობაა," - წერს "მოსკოვსკი კომსომოლცი". "გვეც თქვენ, მორიგი რევოლუცია! და როგორც ყოველთვის, ზუსტად, კარგად გათვლილი და დამამცირებლად მსუზუქად შესრულებული, რომელიც არავითარ შანსს არ უტოვებს ხელისუფლებას," - წერს "კომსომოლსკაია პრედა" სტატიაში სათაურით - "რევოლუცია განრიგით".

საყურადღებოა ამავე გაზეთში პოლიტოლოგ სტანისლავ ბელკოვსკის მიერ გაკეთებული შეფასებები: "რუსეთმა ისევ ნააღო, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არც ჩარეულია ყირგიზეთის რევოლუციაში. დღე-ში ჯერ ისევ ყირგიზეთთან ერთად ჩვენ ისე ვართ, როგორც ერთ მოედანზე და მანამდე, სანამ შესვს კარში გოლები გააქვთ, განვუგდომ და ყვირილი - "ჩვენ არ ვთამაშობთ", - უაზრობა... დაგვირავ-

სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყო უცხოური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია "ტიტების რევოლუციაში" ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მონაწილეობის შესახებ. "ჩვენ არ ვართ ფარული ორგანიზაციები. უზრალოდ, საერთაშორისო საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად, ყირგიზეთში სტაბილური განვითარება და დემოკრატიის განვითარებით ჩვენც დაინტერესებული ვართ," - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერელომ. გარდა ამისა, მან ისიც აღნიშნა, რომ აშშ-ში აკავებს ზუსტი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ ფლობენ. როგორც აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს ცნობებს, ყირგიზეთში ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერის მიზნით, დაგეგმილია 31 მლნ აშშ დოლარიც გამოყოფა. "მოვლენების მხოლოდ დასაწყისს" უწოდებს ყირგიზეთის რევოლუციას აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. მისი თქმით, "ყველაფერი ერთ დღეში არ ხდება. აშშ-ს სურვილია, პროცესების იმგვარი განვითარება, რომელიც სტაბილურ გარემოს შექმნის, სადაც შესაძლებელი იქნება არჩევნების ჩატარება და განვითარება". გარდა ამისა, ისიც აღნიშნა, რომ მივიდანმა ისიც აღნიშნა, რომ კრიზისის დაძლევის მიზნით, წამყვანი როლი, როგორც ენმონელოვად საერთაშორისო ორგანიზაციას - ეუთო-ს ენიჭება.

"ძნელია ვივარაუდოთ, რა მოხდება ყირგიზეთში. ცხადია მხოლოდ ისაა, რომ ეროვნული უმცირესობები, ჯერჯერობით, სიმშვიდეს ინარჩუნებენ და შეტაკებებში არ მონაწილეობენ", - აცხადებენ, თავის მხრივ, ეუთო-ში.

რასაკვირველია, ყირგიზეთის მოვლენებს გამოეხმაურა ოფიციალური ვაშინგტონიც. აშშ-ს

ახალი "ჩაოვოლაციური" ხალხთაფლავა

ყირგიზეთის წინა მონვევის პარლამენტმა გუშინ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კურმანგეტე ბაკიევი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად გამოაცხადა. მანამდე საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ახლახან ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ძველი შემადგენლობის საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილება აღუდგინა.

ბიშკეკის ცენტრალურ მოედანზე ორი ათასი მომიტინგის წინაშე გამოსვლისას ქვეყნის ახალმა მმართველმა ხალხს "კეთილგონიერებისა და შემწყნარებლობისკენ" მოუწოდებდა. მოგვიანებით იქ შეკრებილებმა, ბაკიევის თხოვნით, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან აპოტოის მოედანზე, თავისუფლების ქანდაკებასთან გადიანაცვლეს.

დილით მომიტინგეებმა ყირგიზეთის პარლამენტის შეურმით აღება სცადეს. მათ შენობის კარი შეამტერიეს. შტურმი დეპუტატებმა შეაჩერეს, რომლებიც მომიტინგეებთან გავიდნენ. ერთ-ერთი დემონსტრანტის თქმით, მომიტინგეთა ნაწილს დეპუტატების შეშინებით გაძევება სურდა, ნაწილს - მათი დაცვა.

ამასობაში, ბიშკეკი მარადიო-

მუამარ კადაფი: "ვალესტინელების და ისრააელის მიმართ დამოკიდებურობა არიან"

"ლობის პრეზიდენტი მუამარ კადაფი ზუთშაბათს ალჟირში დასრულებული არაბული ქვეყნების ლეგის 17-ე სამიტის მთავარი მოქმედი მორი გახდა. ლობის რევოლუციის ლიდერის იმპროვიზებული გამოსვლის გარეშე სამიტი, შესაძლოა, მორიგი მოსაწყენი შესვდნარა გამხდარიყო შემავაზებული დიუქმენტის მიღებით, რომელიც მარშანტუნისის სამიტზე ან 2002 წელს ბელოგრადში გაიმართა და კულტურაში თითქმის არაერთი განსხვავებობა", - წერს იტალიური გაზეთი "სტამპა". პოლკოვნიკი კადაფის "გულახდილობი" წყალობით, რომელიც სხდომათა დარბაზში წარდგა როგორც "ინტელექტუალი და არაბი ფილოსოფოსი, და არა - როგორც სახელმწიფო მოღვაწე", ეს მონოტონური სამიტი გამოცოცხლდა. თუ ვინმე არაბულ სამყაროში ალჟირის სამიტს გაიხსენებს, რომლის დროსაც სამიტის მონაწილეებს ნე-ბისმიერ ფსადს სურდათ არაბული სამყაროს დრამატული რეალობისაგან გაქცევა, იმასაც მიხვდება, რომ ამაში დიდი დამსახურება სწორედ კადაფის მოუძღვის. ერთი საათის განმავლობაში კადაფი დაწვრილებით ლაპარაკობდა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტზე, ტერორიზმზე, დასავლურ დემოკრატიაზე, ტომობრივ სისტემაზე აფრიკაში, გაეროს უშიშროების საბჭოზე და, თქვენ წარმოიდგინეთ - მენსტრუაციაზეც კი. მან "იდიოტები" უწოდა პალესტინელებსა და ისრაელს იმი-სათვის, რომ მათ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება სურთ. პოლკოვნიკის განცხადებით,

კადაფიმ არაბებს მოუწოდა, არ მოახდინონ დემოკრატიის სახელური მოდელის იმპორტი, რომელიც მათი ტრადიციებისთვის უცხოა. სამიტზე ის გამოვიდა სირიის დამცველად, რომელსაც ტერორიზმსა და ვადასაც შეუბო, რომელიც, რამდენიმე დღეა, ისლამურ ქვეყნებში მძევნარებებს ქალბნისთვის კოლექტიური ლოცვის ნაკითხვის უფლება მინიჭების თაობაზე. "როგორ შეუძლია ქალს მენსტრუაციის დროს იმამის როლში გამოსვლა"? - კითხვას სვამს მუამარ კადაფი.

სტამპა

ორი სიტყვით

რუსეთი. "კრემლმა გაკეთილი უნდა მიიღოს დღესი ქვეყნებში დატრიალებული რევოლუციური მოვლენებიდან, რათა დამზობლი რეჟიმების შეცდომები არ გამოეროს", - განაცხადა გუშინ რუსეთის მმართვევე ძალთა კავშირის პოლტსაკის წევრმა ბორის ნემცოვმა. მისი თქმით, "რევოლუციის საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ბევრი საერთო აქვთ". "საერთო ის არის, რომ ეს რევოლუციები კორუფციის, არჩევნების გაყალბებისა და ხელისუფლების მუდმივი სიცრუის შედეგია და. სხვადასხვა ქვეყანა, სხვადასხვა რელიგია, სხვადასხვა ისტორია, მაგრამ სახელმწიფო მმართველობის ამგვარი სტლიოს შედეგი ყველგან ერთია" - აღნიშნა ნემცოვმა. "შეპარჯვენე ძალთა" კავშირის ერთ-ერთი ლიდერი პუტინს და მის გუნდს ურჩევს, - არ იცრუნონ არ მოიპარონ, არ გაყავაღბინ და მაშინ რუსეთში რევოლუცია არ მოხდეს. **ინტერპრესი**

ერაყი. ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გენერალი სალმან მუჰამადი და მისი ვაჟი უცნობაა პირმა საკუთარ ავტომანქანაში ჩაყაროლეს. მანქანაში გენერლის მეორე ვაჟიც იმყოფებოდა. ის სხეულის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში მოათავსეს. გუშინვე ბაღდადის დასავლეთ ნაწილში დატრიალებული ავტომობილი და ზუთი მოკლული ქალის სხეული იქნა აღმოჩენილი. მომხდარი ინციდენტის შესახებ დეტლები არ ხმაურდება. აშშ-ს შესაშე სახმელეთო დივიზიის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპულთაგან ოთხი ქალბატონი ერაყის დედა-ქალაქში მდებარე აშშ-ს სამხედრო ბაზაზე მუშაობდა. ერაყის მოქალაქენი, რომლებიც ამერიკელებთან თანამშრომლობენ (განსაკუთრებით მზარეულები და თარჯიმნები) ხშირად ტერორისტთა სამიზნე ხდებიან. თუმცა, ექსპერტისტა მზრიდან საფრთხე ისეთ ხალხსაც ეუქულება, ვისაც ამერიკელებთან კავშირი არ აქვს, მაგალითად - დალაქები. მათ ექსტრემისტებმა დასავლური ტიპის ვარცხნილობათა გაკეთება და წვერის მოპარსვა აუკრძალეს. ერაყის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოკლულია უკვე 12 დალაქი. **ნოუსრუ**

პაკისტანი. ხუთშაბათს საღამოს მდინარე ინდზე ხომალდმა, რომელზეც 60-მდე მგზავნი იმყოფებოდა, კატასტროფა განიცადა. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 40-მდე ადამიანი. გემი ხიდის საყრდენ კონსტრუქციას შეეჯახა და გადაბრუნდა. 20-მდე მგზავრმა ნაპირამდე გაცურვა მოახერხა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, კატასტროფის მიზეზად ხომალდის გადატვირთვა სახელდება. პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო. **ვსსტი**

სუდანი. გაეროს უშიშროების საბჭომ სუდანში სამშვიდობოთა კონტინგენტის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. 10 ათასამდე მშვიდობისმოყვული ციხზლის მქერების შესახებ არსებული შეთანხმების პირობების შესრულება-სა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებაზე იზრუნებს. აღნიშნული გადაწყვეტილება იანვარში მიღწეული შეთანხმების შედეგად იქნა მიღებული, რომლითაც ქვეყანაში მიმდინარე 12-წლიანი სამოქალაქო ომი დასრულდა (მან 2 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა). გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებით, სუდანის სამხრეთში მშვიდობის დამყარებით დაიფურის კონფლიქტსაც მოელება ბო-ლო. **ზი ზი სი**

ბელარუსი. საპროტესტო ტალღა, როგორც ჩანს, მისსკშიც აგორდა. გუშინ ბე-ლარუსის დედაქალაქში ოპოზიციისა და მმართველთა არასანქცირებული აქცია გაიმარათა. ასობით მომიტინგე მისკის ცენტრალურ მოედანზე შედრევას და მიტინგის იქ დაშორეავს ცდილობდა. თუმცა, მილიციის თანამშრომლები მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ. დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნაა საზოგადოებრივი გაერთიანება "პერსპექტივა" -ს ლიდერის ანატოლი შუმჩენკოსა (მას არასანქცირებული მიტინგის ჩატარებისთვის 2 მარტს სასამართლომ 10-დღიანი პატიმრობა მოუსთავა) და პოლტატაშიმართა გათავისუფლება. მომიტინგენი, ასევე, ითხოვდნენ წერილი და საშუალო მანხესის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლას. რამდენიმე საათიანი "ხმაურის" შემდეგ მილიციამ ოპოზიციის მიტინგი დაშალა. რადიოსადგურ "თავისუფლების" კორესპონდენტი იუნყევა, რომ მილიციამ მასობრივი დაპატარებები განა-სორციელა. "როიტერს" მოიახმებით, მილიციასთან შეტაკებებში რამდენიმე დე-მონსტრანტი დაშავდა. მომიტინგეები პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს გადა-დგომასა და ციხიდან იმპრეციონერთა გათავისუფლებას მოითხოვდნენ. **24 საათი**

ასკარ აკაევი: ერთხანს მაცნინი, ერთ დროს ... პრეიდედნტი

ასკარ აკაევის მმართველობის პირველ წლებში დასავლელი მიმოშილვლები ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მისამართით ქება-დიდებას არ იშურებდნენ და მას ცენტრალურ აზიაში დემოკრატიის იმედს უწოდებდნენ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამ, ხმის იშვიათად ამწევმა ადამიანმა ქვეყანას პრივატიზაციისა და მიწის რეფორმი-საკენ უბიძგა მამინევე, როგორც კი დამოუკიდებელ ყირგიზეთს ჩაუდგა სათავეში (1991 წელს). აკაევის ქვეყანაში ლიბერალური ამი-ნენის შექმნისთვისაც აქებდნენ. როგორც მაშინ "ლიტერატურუ-ლი ყირგიზეთის" რედაქტორი ალექსანდრ ივანოვი ამბობდა, "როდესაც მე მის შესახებ რიტეიკულ სტატიებს ვწერდი, დამირეკა და მაძლიობა გადამიხდა მითითებული შეცდომებისთვის". თუმცა, უკანასკნელ წლებში პრეზიდენტ აკაევის მისამართით გაჩენილი ოპტიმიზმი უფერად გაქრა. მისი რეჟიმის კრიტიკოსები აკაევის ოპოზიციისა და თავისუფალი მასმედიის ჩახშობაში ადანაშაულებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება კორუფციაში იყო ჩაფლული. აკაევი, თითქოს საკუთარი პოპულარობის ვარდნის აღიარებით, უკანასკნელ თვეებში რამდენჯერმე გამოვიდა განცხადებით "ხავერდვანი რევოლუ-ციის" საფრთხის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრალ-ურ აზიაში მსგავსი რევოლუცია თავისუფლად შეიძლება სამოქე-ლაქო ომში გადაიზარდოს.

ასკარ აკაევი 1944 წლის 10 ნოემბერს დაიბადა ჩრდილოეთ ყირგიზეთის სოფელ კიზილ-ბაი-რატაში. მამამისი კოლმეურნე იყო. აკაევმა უმაღლესი განათლება მაშინდელ ლენინგრადში (სანკტ-პეტერბუგში) მიიღო, დაამთავრა ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტი და მიიღო ელექტრო-გამომთვლელი მანქანის ინჟინერ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია. 1981 წელს, 34 წლის ასაკში ტექნიკური მეცნიერების დოქტორი გახდა, დაიცვა დისერტაცია თემაზე "შენახვის პოლოგრაფიული სისტემებისა და ინფორმაციის გარდაქმნის გათვლების თეორი-ული საფუძვლები და მეთოდები". 1986 წელს აკაევი ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომი-ტეტის წევრად აირჩიეს, შემდეგ - ყირგიზეთის სსრ-ს სახალხო დეპუტადად, ხოლო 1990 წელს იმ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, რომელიც ჯერ კიდევ სსრკ-ს შემადგენლობაში რჩებოდა. რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის მი-ლებიდან (1991 წელს) მალევე აკაევმა ქვეყნის ისტორიაში პირველი პირდაპირი საპრეზიდენტო არჩე-ვნები მოიგო. 1995 წელს მან გან-მეორებით გაიმარჯვა არჩევნებ-ში. პრეზიდენტად ყოფნისას აკაევი რუსეთთან და აშშ-სთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების ცდილობდა, რადგან ყირგიზეთში ორივე ქვეყნის სამხედრო ბაზებია გათვალისწინებული. 2000 წლის ოქტო-ბერში აკაევი კიდევ ხუთი წლით აირჩიეს პრეზიდენტად. თუმცა, მაშინ დასავლეთის დამკვირვებ-



"ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალება"

ყირგიზეთში "ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალება მოხდა", - ასე აფასებს თავად ჩამოგდებული პრეზიდენტი აკაევი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. გუშინ ყირგიზეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ "კაბარე" ელექტრონული ფოსტით ასკარ აკაევის განცხადება მიიღო, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ყირგიზეთის ლეგიტიმურ პრეზიდენტად რჩება და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი ყოფნა მხოლოდ დროებითი მოვლენაა.

"უპასუხისმგებლო პოლიტიკური ავანტიურისტთა და შეთქმულთა პატარა ჯგუფი ძალის-მითრი აქციების გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდების კიმიონალურ გზას დაადგა," - ამბობს

დევნილი პრეზიდენტი განცხადე-ბაში.

ასკარ აკაევმა "ცრუ და ბოროტგანხრახლე" უწოდა ხმებს პრეზიდენტის პოსტიდან მისი გაადადგომის შესახებ. მისი თქმით, მას უფლება ჰქონდა, მთელი ამ "უხამსობის და ბაქქანალიის" შესაწყვეტად მკაცი მეთოდებისთვის მიეძვრათა. "მაგრამ მე თავიდანვე მტკიცედ განაცხადე, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალისმიერი აქციების გზას არ დავადგებოდო... და რიგი მრჩეველების რეკომენდაციის მიუხე-დავად, გავეცი ბრძანება, მსხვე-პლის თავიდან აცილებენ მიზნ-ით, იარაღი არ გამოყენებინ-თ," - განაცხადა აკაევმა და დას-ძინა, რომ შექმნილ პირობებში გა-დანეყიბა, დროებით გასცლოდა



"საქართველოს ბანკის" კიდევ ერთი ნოვაცია

ახალი პროდუქტი მოსახლეობისათვის უკვე 28 მარტიდან იქნება ხელმისაწვდომი

"საქართველოს ბანკმა" "ტემპი აკრიფა". უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში წარმოადგინა: ახალი პროდუქტი - "მიკროსესხი +", ხელშეკრულება გააფორმა KFW-სთან, გააფორმა კონტრაქტი ერთობლივი პროექტის განხორციელების შესახებ კომპანია "აქსისთან". გუშინ კი სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ ბანკის კიდევ ერთი ნოვაცია წარმოადგინა, რომელსაც, მისივე თქმით, "ანალოგი არ აქვს არც საქართველოში და არც დსთ-ში".

ინოვაციური ნარკვევები

იპოთეკური სესხების ახალი პროდუქტის სახელწოდება გახლავთ "იპო +", რომელიც სახლის შეძენის, აშენების ან რემონტის მსურველებს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვრონ ყოველთვიური საპროცენტო გადასახადები თანხა მათი საკრედიტო ისტორიისა და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. "იპო +"-ის შეძენისას ავტომატურად გახსნილ საბარათე ანგარიშზე კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა, შეიტანოს დანახოვი და დახარჯოს იგი მისი შეხედულებისამებრ. რაც შეეძლება საბარათე ანგარიშზე განთავსებული ყოველდღიური ნაშთი, მით უფრო ნაკლებია საპროცენტო გადასახადები იპოთეკურ სესხზე. "იპო +" წარმოადგენს პროდუქტების ერთობლიობას, რომელიც სახლის შეძენასთან, მშენებლობასთან ან რემონტთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემების ეფექტურად მოგვარების გარდა, დამატებითი საბანკო სერვისების მრავალფეროვან არჩევანს შემოგთავაზებთ.

ძირითადი პროდუქტის - იპოთეკური სესხის გარდა, "იპო +"-ის მფლობელები "საქართველოს ბანკს" დამატებით მიიღებენ ოვერდრაფტს, სადებეტო და საკრედიტო ბარათს VISA ან MasterCard, დაზღვევის მრავალ-

ფეროვან პაკეტს კომპანია BCI-სგან, პარალელურ სამომხმარებლო სესხს ახალი ბინის კეთილმოწყობისთვის, ბანკის წარმომადგენლების განცხადებით, "დამატებითი პრდუქტების შეთავაზებით, "საქართველოს ბანკი" თავისი კლიენტებისადმი გარკვეულ ნდობას გამოხატავს, რაც გრძელვადიანი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი ხდება."

"იპო +"-ით შეიძლება ისარგებლონ საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირებმა, რომელთაც აქვთ სტაბილური შემოსავალი, მინიმუმ, 400 აშშ დოლარი. ნაღდი საპროცენტო განაკვეთი კი 13 პროცენტთან იწყება. სესხის მაქსიმალური ვადა 10 წელია.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის, ლადო გურგენიძის განცხადებით, "საქართველოში" საქართველოს ბანკი პირველია, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აპრობირებულ, ევროპულ ნოდულს "ფესტ" იპოთეკურ სესხებს შესაფერის ბინის შეძენით, რეზიდენციის ან მშენებლობით დაინტერესებულ კლიენტებს. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მსესხებელს ინდივიდუალურად განესაზღვრება საპროცენტო განაკვეთი მათი ფინანსური დანახოვების გათვალისწინებით. ეს კი იპოთეკურ სესხზე გადასახდელ საპროცენტო განაკვეთს გრძელვადიანი პერსპექტივით საგრძნობლად ამცირებს."

ბიზნესმენები საბაჟო კორდაქსის გამართივებას ითხოვენ

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში საბაჟო კოდექსის პროექტის განხილვა მოეწყო. ბიზნესმენები ხელისუფლებას საბაჟო ბარიერების გამართივებას სთხოვენ.

გუშინ ევროგაერთიანების მიერ დადგინებული საბაჟო პროექტის პოლიტიკის მრჩეველმა მანფრედ ზუმერდენმა ბიზნესმენებს საბაჟო კოდექსის ახალი პროექტი წარუდგინა. როგორც მან განაცხადა, აღნიშნული პროექტი ევროკავშირის კანონმდებლობასთან. "ახალი კოდექსი საბაჟო პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებს. ასევე შემოღის საიმედო პირის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ წარბი რეპუტაციის მქონეებს საბაჟოზე აღარ შეამოწმებენ, ან შეამოწმებენ მხოლოდ ნაწილობრივ.

საბოლოოდ, ახალი კოდექსი ნებისმიერი ადამიანისთვის განსაზღვრავს დადგენილებებს და გამოირჩევა ყველა მოქალაქეობისა და საქართველოს ბიზნესმენების შეზღუდვების გარეშე. "საბაჟოზე 15 სტრუქტურულ სათითაოდ არ უნდა ამოწმებდეს ბიზნესმენს ან მის ტვირთს, რაც, საბოლოო ჯამში, კორუფციის საფუძველი ხდება. უნდა შეუშუავედს ერთიანი ფორმა, რომლის შევსების შემთხვევაში მენარბე ყველა სტრუქტურის მოთხოვნებს ერთნაოდ დააკმაყოფილებს," - განაცხადა ისაკაძემ.

ორგი ისაკაძე პროექტის ავტორებს საბაჟოზე არსებული ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ახალი კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ბიზნესმენი რაიმე მიზეზით საბაჟოზე საჭიროზე მეტხანს დაყოვნდეს. "საბაჟოზე 15 სტრუქტურულ სათითაოდ არ უნდა ამოწმებდეს ბიზნესმენს ან მის ტვირთს, რაც, საბოლოო ჯამში, კორუფციის საფუძველი ხდება. უნდა შეუშუავედს ერთიანი ფორმა, რომლის შევსების შემთხვევაში მენარბე ყველა სტრუქტურის მოთხოვნებს ერთნაოდ დააკმაყოფილებს," - განაცხადა ისაკაძემ.

აღსანიშნავია, რომ გუშინ ბიზნესმენებს საბაჟო კოდექსის პროექტის მუშა ვარიანტი გააცნეს. მის საბოლოო დოკუმენტად ჩამოყალიბებას, რომელშიც ბიზნესმენების შეზღუდვები იქნება გათვალისწინებული, უახლოეს მომავალში ვერაულოებენ.

24 საათი



ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახური
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პროცესი, მოხინაღრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უფრედების, სხეულის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbiliscorps.ge

მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ.: 952034

ხელისუფლება - "ენერგონოკაუტში"

ენერგოკრიზისი კიდევ გაგრძელდება. ხელისუფლება იძულებულია, გამოითოს ენერგეტიკა. კავკასიონის გადაწყვეტი ზაზის აღდგენა ჯერ ვერ ხერხდება. უნდა მოვითმინოთ... - ასეთი გახლდათ მესიჯები, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ, ენერგოსექტორში მოთამაშე ენერგოსუბიექტებთან რამდენიმესაათიანი შეხვედრის შემდეგ გააჟღერა. მოსახლეობას, რომელიც უკვე თითქმის ათ დღეზე მეტია, მთელი საქართველოს მასშტაბით სრულ სიბნელებში, იზოგრაფიულ ვაკუუმში და ბევრ ადგილებში - წყლის გარეშეც არის დაარჩენილი, ხელისუფლება ვერაფერ სასურველს ვერ ეუბნება:

თამარ ხორბალაძე

ენერგოშეზღუდვები ქვეყანაში კვლავაც გაგრძელდება. "ერთი რამის გამოხსოვების იმედურად მომავალში არ არსებობს, ვინაიდან ადგილზე არსებული რთული კლიმატური პირობების გამო, "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადაწყვეტი ზაზის აღდგენა ვერ ხერხდება. ასევე ვერ ხერხდება აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი," - აღნიშნა პრემიერმა ჩაირთ. "საზღვრის" შემთხვევაში, შეზღუდვები "კავკასიონის" ჩართვის შემდეგაც გაგრძელდება, რადგან დაგეგმილია "ენგურჰესის" გამოტეხვა.

როგორც დღეს გახდა ცნობილი, გუშინ ჩაირთ "საზღვრის" ელექტროგადამცემი ხაზი, რომელშიც მშენებლობა საქართველოში 60 მეგავატი ელექტროენერგია შემოღის, თუმცა ეს საქმარისი არ არის იმისთვის, რომ სისტემაში გაზარდულად იმუშავოს. "საზღვრის" ჩართვის პარალელურად, გამოირთო შიდრეოლექ-

ტროსადგური "ხრამი 2". კომპანია "თელასში", რომელიც "ხრამი 2"-ის მიერ გამოშვებული ელექტროენერგიის ყიდულობს, აცხადებენ, რომ ჰესის გაჩერება დაცლილმა წყალსაცავმა განაპირობა.

"ამჟამად წყალსაცავში არსებული მცირე რესურსის გამო მხოლოდ "ხრამი 1" მუშაობს, ისიც - მინიმალური დატვირთვით," - აცხადებენ "თელასში".

"საზღვრის" შემთხვევაში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩება, რადგან გადაწყვეტი ზაზი აფხაზეთის ტერიტორიაზე გადის.

გუშინ საღამოს "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკი ჩაირთ. მე-3 ენერგობლოკი ბუნებრივ აირს კომპანია "თბილგაზისგან" იღებს. ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გუშინ "თბილსრესისათვის" აირის ახალი ტარიფი დაწესა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკები "თბილგაზისგან" 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 145 ლარად მიიღებენ.



ხელისუფლება მოსახლეობას სანგეგმოს ვერაფერს ეუბნება.

მე-3 ენერგობლოკის მიერ გამოშვებული 100 მეგავატი სიმძლავრე სისტემაში არსებულ ერთი რამისა სრულად ვერ გამოასწორებს, მაგრამ ენერგეტიკოსებს საბითუმო ბაზრის მიერ დაღესებული ლიმიტების დაცვის შესაძლებლობას მისცემს.

მოუხედავად ამისა, ენერგეტიკოსები ენერგოსისტემაში შემძლავრე სისტემაში არსებულ ერთი რამისა სრულად ვერ გამოასწორებს, მაგრამ ენერგეტიკოსებს საბითუმო ბაზრის მიერ დაღესებული ლიმიტების დაცვის შესაძლებლობას მისცემს.

გათიხულ უბნებს ბუნებრივი აირის მიწოდება განუახლდათ

ისანი-სამგორის რაიონში მოსახლეობისთვის გაზომომარაგების აღდგენის პროცესი კვირის დასრულებდა. ამის შესახებ განცხადება გუშინ კომპანია "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ სოსო სიმონიშვილმა გააკეთა. 20 მარტს მომზადარი ავარიის ლიკვიდაციას და გაზსადენის რეაბილიტაციას თითქმის ერთი კვირა დასჭირდა.

მარიამ ჭაჭავაძე

იმის გამო, რომ გაზის შეწყვეტა ელექტრომომარაგებაში შექმნილ კრიზისს დაემთხვა, სოსო სიმონიშვილის განცხადებით, "თბილგაზის" თანამშრომლები ოცდამეათამდე რევიში იმუშავებდნენ და აღნიშნულ უბნებს გაზის მიწოდება კვირისთვის უკვე სრულად აღუდგებათ.

"შემუშავებულია ისანი-სამგორის რაიონის საცხოვრებელ კორპუსებში გაზის ჩართვის გრაფიკი. დღეს ბუნებრივ აირს მიიღებენ მესამე მასივში, ჯაფა-

ხეთის და ხომელის ქუჩაზე, აგრეთვე, კალუბნისა და გახოქის ქუჩებზე მცხოვრები აბონენტები," - განაცხადა სოსო სიმონიშვილმა.

გუშინვე, გაზის მიწოდება განუახლდათ ვარკეთილში "თოლიას" დასახლებასა და ვარკეთილის ზემო პლატოზე მცხოვრებ აბონენტებს. ბუნებრივი აირის მიწოდება ასევე აღუდგა გუშინ თმოდეს, დასახლებასა და გურამიშვილის გამზირს, სადაც ბუნებრივი აირი ავარიის გამო გაითიშა. სიმონიშვილის ინფორმაციით, დღეს დაგეგმილია მისკოვის გამზირის, ქინძმარაულის, ნაკადულისა, ოთხელ-

ის ქუჩების და ზოგადად ხმელნიკის გამზირის ბუნებრივი აირით დატვირთვა.

ხვალ კი ჩაირთვება ვარკეთილის მე-3 და მე-4 მიკრორაიონები, მე-8 ლეიონის და გაზისუნის დასახლებები და კახეთის გზატკეცილი. გაზომომარაგების აღდგენა გამოირთვება, საბოლოოდ, 27 მარტს დასრულდება.

გუშინ დღითი, სიმონიშვილის პრესკონფერენციაზე რამდენიმე საათით ადრე, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი უკმაყოფილო მოსახლეობის ერთი ნაწილი "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურში შეიჭრა. სიმონიშვილის თქმით, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა მესამე მასივში მდებარე "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურში შეიჭრეს და დაიწყეს ავარიის აღდგენის მოწყობა. "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურში შეიჭრეს და დაიწყეს ავარიის აღდგენის მოწყობა. "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურში შეიჭრეს და დაიწყეს ავარიის აღდგენის მოწყობა.

ელს საფრთხე შეექმნა.

"უსაფრთხოების თვალსაზრისით, დაუშვებელია "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურებზე უცხო პირების შესვლა. ამან შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს. გასაგებია, რომ ცოცხალი, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას არა აქვს ელექტროენერგია, მაგრამ აღამიანების სიცოცხლის ფასად არაფერი ღირს," - განაცხადა სიმონიშვილმა.

მისივე თქმით, მარეგულირებელ სადგურში მოსახლეობის შეჭრის მცდელობა წინა დღეებშიც დაფიქსირდა, თუმცა ეს შემთხვევა დროულად აღიკვეთა.

თავად "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე, უკვე მესამე დღეა, მოსკოვში ვიზიტს განაგრძობს. ვიზიტის პირველი დღის მორჩილაძე "გაზექს-პორტის" ხელმძღვანელს შეხვე-

დეს შეხვდა. მასთან მოლაპარაკების შემდეგ გადამხდა, რომ "თბილგაზი" დამატებით, "თბილსრესისთვის" საჭირო ბუნებრივ აირს, დღე-ღამეში 1 მილიონ კუბურ მეტრს, რუსეთიდან მიიღებს. გუშინდელი შედეგიდან, "თბილგაზიდან" "თბილსრესს" კი მიწოდება საჭირო ბუნებრივი აირი, თუმცა აქ არსებული ტექნიკური პრობლემების გამო, "თბილსრესის" ჩართვა ვერ ხერხდება. "როგორც კი სპეციალისტები "თბილსრესს" ჩართავენ, ბუნებრივი აირის მიწოდებას "თბილგაზი" დაუყოვნებლივ დაიწყებს," - აცხადებენ "თბილგაზში". გუშინდელი დღიდან ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიის შესაბამისი დადგენილებით "თბილსრესი" მოხმარებული ბუნებრივი აირის ახალ ტარიფს გადაიხდის - ყოველ 1000 კუბურ მეტრზე 146 ლარს, რაც ძველი ტარიფისგან უმნიშვნელოდ არის გაზრდილი.

ყაზბაზს 25 დღეა დენი არ მიეზოდება

ყაზბეგს 25 დღეა ელექტროენერგია არ მიეზოდება. 1 მარტს დიდთოვლობის გამო ავარიულად გათიხილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "გუდაური 2", რომელიც ელ. ენერგიით ამარაგებდა ყაზბეგის რაიონს. 110-კილოვოლტის ხაზი "გუდაური 2" საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ქონებაა. ამ დრომდე, დიდთოვლობის გამო, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ვერ ახერხებს გადაწყვეტი ზა-

ზი-2 გუდაური 2"-ის შეკეთებას. ენერგოკომპანია განიხილავს ელ. ენერგიის შეძენის შესაძლებლობას ყაზბეგისა და დარიალოვს. "იმისათვის, რომ ყაზბეგის სასიცოცხლო ობიექტების ენერგომომარაგება მოხდეს ყაზბეგისა და, საჭიროა პესზე მრეცხველი დაილუქოს ერთობლივად "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის", "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ვერ ახერხებს გადაწყვეტი ზა-


დმყოფი, ფოსტა და პოლიცია.

11 მარტს ყაზბეგის რაიონის მცდელობის დროს მოხდა უბედური შემთხვევა, ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის უსაფრთხოების მონიშნული მოვალეობის დამტყვევება. ბრალეულობის დადგენის მიზნით, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" პარალელურად ანარეგობებს შიდა მოკე-

ლეგას აღნიშნულ ფაქტზე.

24 მარტს მოხერხდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის და ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის უსაფრთხოების მონიშნული მოვალეობის დამტყვევება. ბრალეულობის დადგენის მიზნით, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" პარალელურად ანარეგობებს შიდა მოკე-

24 საათი



დაუმთავრებელი საჩუქარი იუხილარისთვის



B2

მემორიალურ ქედელზე ნამზოვი ჩაერთო



B4

ჩემი ოცნების ასრულების იმედი





B6

დიდი მატჩი

დღეს საქართველოს ნაკრებმა უნდა დაამტკიცოს, რომ გუნდია. უფრო სწორად, რომ მისგან შეიძლება დიდი გუნდი გამოდნეს. დღეს ჩვენ ევროპის ჩემპიონებს ვეთამაშებით და რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ საბერძნეთი მთლიანად ოტო რეპაგელის შემოქმედების ნაყოფია, არ უნდა დაგვაინყდეს, რომ ამ ნაყოფმა კონტინენტის ჩემპიონატი მოიგო. ამიტომ ბუნებრივია, რომ თამაშისთვის ფეხბურთელებიც და მაცურებელიც სათანადოდ უნდა განვეწყოთ.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ეს იქნება გერმანულ-ფრანგული სკოლის დუელი. უფრო სწორად, გერმანულ-ფრანგული ორგანიზაციის დაპირისპირება და თუ ჟირესმა მოახერხა გუნდის საბრძოლველად განწყობა, არ არის გამორიცხული, საქართველოს ნაკრებმა დღეს დადებითი შედეგი მიიღოს. ეს კი ჩვენი გუნდისთვის უზარმაზარი სტიმული იქნება, რომელიც შეიძლება მომავალში დიადი გამარჯვებების საწინდარიც კი გახდეს.

ბერძენი ფეხბურთელებიც ერთხმად აღიარებენ, რომ ურთულესი მატჩის მომსწრენი გახდებიან და ისიც კარგად ესმით, რომ საქართველოს ნაკრები საკუთარ მინდორზე უბრძოლველად არაფერს დათმობს. ბერძნებს ჩვენს ქვეყანაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი ჩამოჰყვა, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა. ამასთან, გთავაზობთ საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელთა მატჩისწინა ექსკლუზიურ კომენტარებს და სავარაუდო სათამაშო სქემას, რომელიც ათენის SKY RADIO-ს სპორტული რედაქციის ხელმძღვანელმა იანატოს სოტირისმა მოგვანოდა.



სტელიოს გიანაკოპულოსი:

("ბოლტონი"; ინგლისი)

- საქართველოს ეროვნული ნაკრები ძალზე გამოცდილი და ძლიერი კოლექტივია. ქართველ ფეხბურთელთა უმრავლესობა ევროპის ცნობილ ლიგებში თამაშობს, მაგალითისთვის თუნდაც კალაძისა და კობიაშვილის დასახელებაც კმარა. საბერძნეთის ნაკრებისთვის ეს მატჩი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაელასვითაა, რადგან უკან დასახვევი გზა, პრაქტიკულად, ჩვენ თვითონვე მოვიჭერთ. ორი გუნდი გამარჯვებისთვის იქნება შემართული, მაგრამ სამი ქულა მხოლოდ ერთ მათგანს დარჩება. შესაძლოა, ეს იყოს პირველი წრის ყველაზე რთული მატჩი საბერძნეთისთვის.

იორგოს კარაგუნისი:

("ინტერი"; იტალია)

- საქართველოს ნაკრები უმაღლესი დონის პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, თუნდაც ჩემი "თანაქალაქელი" კალაძის დასახელება რად ლირს, ის და მისი თანაგუნდელები მინაურ კედლებში წარდგებიან საკუთარი მაცურებლის წინაშე. აქედან გამომდინარე, ძნელი სავარაუდოა, ქართველებმა მოედანზე რაიმე დათმონ. რაც შეეხება საბერძნეთის ნაკრებს, ჩვენ უკან დასახვევი გზა მოჭრილი გააქვს და მოუხდევად არასასურველი ამინდისა და ცუდ მდგომარეობაში მყოფი მინდორისა, მინდა მჯეროდეს, რომ საბერძნეთი შეძლებს იმ ფეხბურთის ჩვენებას, რომლითაც ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვეთ.

მიხაის კაპისი:

("ბორდო"; საფრანგეთი)

- მიხაისი, თქვენ არ გეყოლებათ განუყრელი პარტნიორი დაცვის ცენტრში, ტრაიანოს დელასი ტრეკირებულა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ გამოინვეს ეს არეულობას ევროპის ჩემპიონთა დაცვის ხაზში?

- დელასი ჩვენი გუნდისთვის მართლაც დიდი დანაკლისია, მაგრამ ევროპის ჩემპიონი გუნდი ერთი ფეხბურთელის ჯანმრთელობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურისა, როგორიცაა დელასი საბერძნეთის ნაკრებისათვის - კერძოდ კი მისი დაცვის ხაზისთვის. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელი შეძლებს, ღირსეული შემცველი მოუძენოს ნებისმიერ ტრავმირებულ მოთამაშეს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დელასი დიდად დაკლებდა ნაკრებს.

- რას გეგმავთ კონკრეტულად ამ მატჩზე?

- პირველ რიგში, აღვნიშნავდი მოედნის საფარის ცუდ მდგომარეობას და მოულოდნელ

ელ სიცოცხლეს. ქართველები შინ თამაშობენ და მოგებისთვის იქნებიან მომართული, ამიტომ მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე უშუალოდ ბრძოლა მოგვინებს. დაძაბული იქნება მწვრთნელთა დუელიც. მაგრამ უნდა მოვიგოთ, რადგან ნებისმიერ სხვა შემთხვევაში საგრძნობლად გავირთულებთ სატურნირო მდგომარეობას.

იანის გუმასი:

("პანათინაიკოსი"; საბერძნეთი)

- იანის, რას იტყვით მატჩის შესახებ?

- ჩვენ უკან ვერ დაიხვეთ, უნდა მოვახერხოთ და ვითამაშოთ ისე, როგორც ეს ევროპის ჩემპიონებს შეუძენიათ. ჩვენ უნდა შევასრულოთ მწვრთნელის მითითებები. მოედნის საფარი, ისევე როგორც ზოგადად კლიმატური პირობები, უკეთესის სურვილს ტოვებს. თუმცა, ამინდსა და პროგნოზებზე ფიქრით მოგება შეუძლებელია, ამიტომ ერთადერთი, რასაც ამჟამად ვფიქრობ, მოახლოებული მატჩია.

კახი კახიაშვილი:

- ბატონო კახი, რას გეგმავთ დღევანდელ მატჩთან დაკავშირებით?

- პირველ რიგში მინდა ფეხბურთმა გაიმარჯვოს. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებს მოგება სწყურია, რადგან მის წინაშე წარდგება ევროპის მოქმედი ჩემპიონი, ეს კი ქართველთათვის დამატებითი სტიმული იქნება. ჩემი აზრით, თუკი ბერძნები ისევე ითამაშებენ, როგორც პორტუგალიაში, მაშინ საქართველოს ნაკრები ურთულესი ამოცანის წინაშე დადგება, ხოლო თუ ბერძნები ვერ შეძლებენ რეპაგელის დარიგების მოედანზე გადმოტანას, გამარჯვება საქართველოს დარჩება.

- როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის მოსალოდნელი ბერძენთა მხრიდან ზერელე მიდგომა? ერთი მხრივ, ევროპის ჩემპიონი, ხოლო მეორე მხრივ, მომლილი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის პატრონი საქართველო...

- ნაგების შემთხვევაში საბერძნეთში უმაღლესი დონის მატჩი მინდა ფეხბურთის განვითარების მანიაზე საუბარი. თუმცა, რეალურად საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია გაორმაგებული პასუხისმგებლობით ეკიდება ბერძნულ ფეხბურთის მომავალს. მათ სურთ დაამტკიცონ, რომ ევროპის ჩემპიონობა იყო სრულიად ლოგიკური შედეგი - მათ მიერ განკუთვნილი შრომისა და არა შემთხვევითობა, როგორც ამას რიგ საფეხბურთო ნრევები მოიხსენიებენ.

- ბატონო კახი, რას უსურვებდით ქართველ გულშემატკივარს დღევანდელ საღამოს?

- კარგ ამინდს, სითბოს და ქართული ფეხბურთის ძველი დიდების დაბრუნებას.



აფიშა

თეატრები
თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ლეთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.
თეატრალური სარდაფი ვაკეში
პრემიერა
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრი
რევაზ გაბრიაძე
"ჩვენი პატარა ქალაქი"
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
დას: 19:00 სთ.
თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უზნის თეატრი
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
"აქ, ამ სავანეში"
ოთხი ერთაქტიანი პეისა
("დიდება, იმპერატორ რამუს I", "პაუზა", "თითო ბოთლი ლუდი", "სარკე")
დას: 19:00 სთ.

კონცერტები
სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
"იუმორინა-2005"
დას: 19:00 სთ.

კლუბები
ბერლინი
დი-ჯეი ქეში
დას: 22:00 სთ.
ფასი: 15 ლარი
გოგონებისთვის - 5 ლარი.

კინოთეატრები
რუსთაველი
"გარეკილები"
დას: 13:00; 17:30; 19:30; 21:30 სთ.
"ჰიჩი"
დას: 15:00 სთ.

ამირანი
"გარეკილები"
დას: 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.
ცირიკი
მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

გამოყვანები
ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ეროვნული გალერეა
ვალერი მარგიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა
ჰობი
"კალიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართული მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)
თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონაწერდაშვილი)
ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინაქარი"
კოპალა
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
<i>დაცემილი ღონისძიებებს შესაბნ შეიძლიათ მოგაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge</i>

მოკლად

მზადება "დონ პასკუალესთვის"

თბილისის ზაქარია ფალია-შვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკა-დემიური თეატრი ახალი პრე-მიერისთვის ემზადება.

დამდგმელი დირიჟორი გო-გი ჭიჭინაძე, დამდგმელი რე-ჟისორი მაია გაჩეჩილაძე და დამდგმელი მხატვარი გიორგი ნადირაძე მსმენელებს გაეტა-

ნო დონიცეტის სამმოქმედე-ბიან კომიკურ ოპერას "დონ პასკუალეს" წარუდგენენ. სპე-ქტაკლებში მონაწილეობას მი-იღებენ თეატრის სხვადასხვა თაობის სოლისტები; იქნება რამდენიმე დებიუტიც. პირვე-ლი საპრემიერო წარმოდგენა აპრილის შუა რიცხვებში გაი-მართება. *მედიანოსი*

დაუმთავრებელი სარეჟარი იუზილარისტვის

ზაზა კოლეღიშვილის კინოპროექტი - "სამოსელი პირველი" დროებით შეჩერებულია

ია ვაკაა

დღეს გურამ დოჩანაშვილის დაბადების დღეა, თუმცა რეჟისო-რი ზაზა კოლეღიშვილი ვერც 66 წლის იუბილეზე უძღვნის დიდი ხნის წინ შეპირებულ საჩუქარს. ფილმი, რომელსაც კოლეღიშვი-ლი თავისი ცხოვრების უმთავრეს პროექტს უწოდებს, კვლავ ემბრი-ონულ მდგომარეობაშია - არსებ-ობს ადაპტირებული სცენარი, რეჟისორი, შერჩეულია მთავარი როლის შემსრულებელი და პროე-ქტის სპონსორები, მაგრამ გადა-ლებების დაწყებამდე კიდევ დიდი დროა.
ზაზა კოლეღიშვილმა "სამო-სელი პირველის" გადალება დაახ-ლოებით 15 წლის წინ გადაწყეი-ტა. ერთი შეხედვით, ამ ნაწარმოე-ბის ეკრანიზაცია გარკვეულ რის-კთანაა დაკავშირებული, რადგან დოჩანაშვილის მსურვალე თავყა-ნისმცემლები "სამოსელს" თანა-მედროვე ქართული ლიტერატუ-რის "ჩვევსიტყაოსნადაც" მიჩი-ნევენ. როდესაც რობერტ სტუ-რუმ რუსთაველის გმირების სცენაზე გაცოცხლება გადაწყეი-ტა, საზოგადოებამ იგი ლამის ერ-ის მოღალატედ შერაცხა, ზაზა კოლეღიშვილს კი მსგავსი რეაქ-
ზაზა კოლეღიშვილი
ბაბო ალაშოშის ფოტო

ციის არ ეშინია, რადგან პროექტი თავად ნაწარმოების ავტორის მხარდაჭერით და მონაწილეობით ხორციელდება.

“15 წელია, რაც მე და გურამ დოჩანაშვილი “სამოსელი პირვე-ლის” ეკრანიზაციაზე გმუშაობთ. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ვერსიაა დაგამუშავით, სცენარი რამდენჯერმე გადავწერეთ, გავი-აზრეთ თითოეული სცენა, დია-ლოგი და პერსონაჟთა ხასიათი. საბოლოო ვერსია ჯერ კიდევ არ

გვაქვს მზად. ვფიქრობ, ბევრი თავად ნაწარმოების ავტორის დროს შეიცვლება”, - ამბობს კო-ლეღიშვილი.

ზაზა კოლეღიშვილს სცენარ-ის ადაპტაციაზე მეუღლე ნათია გოგოჭური ესმარება. ფილმის მხატვარი, სავარაუდოდ, გურამ დოჩანაშვილის თითქმის ყველა ნიგნის მხატვრულად გამფორმე-ბელი ვახტანგ რურუა იქნება. სა-კუთარი ესკიზები აქვს რეჟისორ-

საც. მას ჯერჯერობით არ ჩაუტა-

სავანეში მოსმენილი ამბავი

პერა ნაფარიძე

<i>27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა. ჯერჯერობით უცნობია, რას აშზაღდებენ ამ დღეს ქართველი თეატრალები (თუ ამზადებენ, საერთოდ), შეახსენებენ თუ არა პროფესიულ დღესასწაულს ფართო საზოგადოებასა და თუნდაც, მთავრობას. ამ უაქანასკნელს რომ თეატრი ჯერ კიდევ ახსოვს, ამას, ალბათ, სამეფო უზნის თეატრში პარლამენტის თავმჯდომარის სტუმრობა ადასტურებს.</i>
მეუღლესთან ერთად ნინო ბუ-რჯანაძის სტუმრობა სამეფო უბ-ნის თეატრში თემურ ჩხეიძის შე-მოქმედებითი სახელოსნოს მიერ განხორციელებული დადგმა იყო. საუბარია ოთხ ერთმოქმედებიან პეისაზე - "აქ, ამ სავანეში..." (რო-მლის პრემიერაც 3 თებერვალს გაიმართა).
სახელოსნო კინოსა და თეატ-რის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში წელიწადნახევრის წინათ შეი-ქმნა ცნობილი რეჟისორის თემ-ურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით. "ეს არის ჩვენი ასპირანტურა", - ამბობენ მისი წევრები. სახელოს-ნო ახალგაზრდა თეატრალებს - რეჟისორებს, სცენარის ავტორე-ბსა და მხატვრებს ერთად მუშაო-ბის გამოცდილებას აძლევს. ამ-ჟამად სახელოსნოში გაერთიანე-ბულია ოთხი რეჟისორი (ბადრი



ილია ლავროვის ფოტო

წერდიანი, გეგა ქურციკიძე, მა-მუკა ტყემალაძე, გიორგი თავა-ძე), დრამატურგები (მანანა დოი-აშვილი და თამარ ბარათია) და მხატვარი თამარ ლომიძე (მსახი-ობებს კი იწვევენ). ექსპერიმენ-ტული ჯგუფი ამ შემადგენლობ-ით მორიგ დადგმას ამზადებს - სამუშაო თემურ ჩხეიძემ სანქტ-ჟამად სახელოსნოში გაერთიანე-ბულია ოთხი რეჟისორი (ბადრი

დოდ, ივლისში გაიმართება.

თუკი მაყურებელთა დასწრე-ბის აქტივობით ვიმსჯელებთ, "აქ, ამ სავანეში..." საკმაოდ წარმატე-ბული დადგმაა. თუმცა, ერთი სპექტაკლის მხატვრული ღირე-ბულება და მეორე - მისი პოპულა-რობა; არც ისე იშვიათად ეს ორი ფაქტორი არ შეესაბამება ერთი-მანეთს. გუშინწინ სამეფო უზნის თეატრში მაყურებელთა დასწრე-

ბა ნამდვილად არ ყოფილა სამა-ზალითო. არადა, რამდენიმე მიზე-ვის გამო ნამუშევარმა, წესით, უნდა დაინტერესოს თეატრის მოყვარულები. პირველ რიგში, ის, რომ სახელოსნო დაკავშირებუ-ბულია დამეორე - მისი პოპულა-რობა; არც ისე იშვიათად ეს ორი ფაქტორი არ შეესაბამება ერთი-მანეთს. გუშინწინ სამეფო უზნის თეატრში მაყურებელთა დასწრე-

ბა ნამდვილად არ ყოფილა სამა-ზალითო. არადა, რამდენიმე მიზე-ვის გამო ნამუშევარმა, წესით, უნდა დაინტერესოს თეატრის მოყვარულები. პირველ რიგში, ის, რომ სახელოსნო დაკავშირებუ-ბულია დამეორე - მისი პოპულა-რობა; არც ისე იშვიათად ეს ორი ფაქტორი არ შეესაბამება ერთი-მანეთს. გუშინწინ სამეფო უზნის თეატრში მაყურებელთა დასწრე-

სამყარო, რომელსაც ვნახა ამოძრავებს

წრიული სცენა და ლითონის სფერო



ილია ლავროვის ფოტო

შედევრი, ადამიანის, სიცოცხლის, ციხის; ამ ათი დღის განმავლობაში ბის ჰიმნი. ავარჩიეთ ათი ნოველა.

ჩვენ ვიცავთ დეკამერონის პრინ-ციპს: ამ ათი დღის განმავლობაში ათი ახალგაზრდა, რომელიც შავ

ჭირს გაექცა, თითო ნოველას მო-ჰყვება. სულ ასი ამბავია. მათ, რა თქმა უნდა, თეატრში ვერ გადმო-

ერთად მონაწილეობენ ქართული სცენის ისეთი ცნობილი ოსტატე-ბი, როგორებიც არიან მედვა ჩა-ხავა და თამარ სხირტლაძე.

მანანა დოიაშვილის, თამარ ბართაიასა და გიორგი თავაძის ოთხივე პეისა ("დიდება იმპერატ-ორ რამუს I", "პაუზა", "თითო ბო-თლი ლუდი", "სარკე") სავანეებ-ოდ შეიქმნა სექტაკლისთვის, რომელსაც "აქ, ამ სავანეში..." ეწ-ოდა. სექტაკლის სავანეა ქალაქ-ის ბალი, სადაც ადამიანები იშვია-თად წნდებიან; მაყურებელიც ამ იშვიათად გამოჩენილი ადამიანე-ბის ამბებს ისმენს. და მაინც, რა ხდება ამ სკვერში? ახალგაზრდა ძიძისა და ბავშვის მამის; ცხრა თვის ორსულისა და ახალგაზრდა მამაკაცის; თვითმკვლელობის მსურველი ახალგაზრდა ქალისა და "ზომვის"; ორი მოხუცი მეხსი-ერებადაქვეითებულის (ყველა მა-თვანი მარტოსულია) მეხვედრა-დიალოგები. ამ დიალოგების მოს-მენა ერთი საათი ნამდვილად ღირს, სპექტაკლის ბოლო ნაწილ-ში, მეოთხე პეისაში ("სარკე", - მა-მუკა ტყემალაძის რეჟისურა, მე-დვა ჩახავასა და თამარ სხირტლა-ძის მონაწილეობით; აქვე ფლერს გია ყანჭელის მუსიკა) გულიანი სიცილი ელის მაყურებელს. ასე-ვე, უკმაყოფილო არ დარჩება ნა-ტა მურვანიძისა (გეგა ქურციკიძ-ის დადგმაში "პაუზა") თუ მაღხაზ აბულაძის (გიორგი თავაძის - "თითო ბოთლი ლუდი") მსახიო-ბური ოსტატობით.

დაშა ბუღაძის სვეტი

მადრი სერაფინაჟოვა

იტალიის საელჩოს არჩევანი შეუთხვავიერად არ ყოფილა. საელჩო უკვე რადიკალიზდა მუსიკალური პროექტები განაზოგადოდა ოპერაზე და კონსერვატორიაში და საკმაოდ კარგად იცნობდა ადგილობრივ ძალებს. იტალიის ელჩი ფაბრიციო რომანი ოპერის დღიში მუშაობდა და კარგი მცოდნეა. ნიკკარეშევიჩი ჩვენგანი ის თავად მასპინძლობდა. მან შესაგებოდა სტუკა წარმოთქვა და აღნიშნა, რომ "სევილიელ დოლაჟს" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იტალიური ოპერის ისტორიაში. არაქვეყნულებრივად დაინაკურჩა.

წინასაპრემიერო ჩვენებას
გარკვეული ხარვეზებიც ჰქონდა
და ბევრი პოზიტიური მხარეც.

განსაკუთრებული შთაბეჭდი-


— მოკლად



ბატონო ნოდარ, არ დაგვეუბოთ, ხო ნამდვილად მართლმადიდებელი ხართ?

ათეუღი

კვირის განხილვებში მალაზია "პარანისის" მიხედვით			
ავტორი	ნიგნი	გამომცემლობა	ფასი \$
ჯეიმზ მატერსონი და პოეტად რინი	"თაფლობის თვე"	"ლილია, ბრაუნ"	27.95
ტომ ლუპი და ჯერი ბ. ფერენი	"ალ ზეგა"	"ტინდული"	25.99
ფერნანდა სტილი	"შეძრეული"	"დალაკარტ"	27
ჯონ ბრინგზი	"ბოტერი"	"დაბლდუ"	27.95
ფენ ბრაუნ	"და ჯინის კოდი"	"დაბლდუ"	24.95
რობერტ ბ. პარკერი	"ცივი მომხატვრება"	"პეტენი"	24.95
მაი ალბომი	"ხუთი დამინი, ვისაც სამოთხეში შეხვედები"	"ჰაიპერიონი"	19.95
ჯოდი მაკო	Vanishing Acts	"ატრია"	25
კერტის სიტენფელდი	PREP	"რენდომ პაუზი"	21.95
ფრედ სილვა	"ცეცხლის პრინცი"	"პეტენი"	25.95



ინფორმაცია

“ჩელსიმ” რაით-ფილიპსი შეიძინა

“Mirror”-ის ცნობით, ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და “მანჩესტერ სიტის” ნახევარმცველმა შონ რაით-ფილიპსმა ლონდონის “ჩელსისთან” მოაწერა ხელი კონტრაქტს. სავარაუდოდ, ლონდონის კლუბს ფეხბურთელის შეძენა 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება. იგი ახალ კლუბში ზაფხულში გადავა. ამ გარიგებით, ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ფაქტობრივად უარი თქვა ესპანური “ბეტიასის” ნახევარცენტლის ხოაკინის შეძენაზე.

როგორც ადრე იტყობინებოდნენ, 23 წლის ამჟამად ტრავმირებულ შონ რაით-ფილიპსის ყიდვის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა ლონდონის “არსენალი”, რომლის მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი ფეხბურთელით აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ შეიძლებოდა ფეხბურთელი ესპანეთში, კერძოდ, “ბარსელონაში” გადასულიყო.

თუმცა, როგორც ხედავთ, რაით-ფილიპსმა არჩევანი “ჩელსიზე” შეაჩერა. კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, მომავალი სეზონის დასაწყისამდე 2-3 ტრანსფერის განხორციელებას აპირებენ. კანდიდატთა შორის არიან სტივენ ჟერარდი, ეშლი კოული და ჯანლუკა ძამპროტი.

შეგჩენკო ფსიქოთერაპიის კურსს გაიცვლის

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, უკრაინის ეროვნული ნაკრებისა და იტალიის “მილანის” თავდამსხმელი ანდრეი შეჩენკო გაიცვლის ფსიქოთერაპიის სპეციალურ კურსს, რომელიც მას ტრავმის შემდეგ ფორმის დაბრუნებაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო 19 თებერვალს, იტალიის ჩემპიონატში, “კალიარისთან” მატჩში. მას მონინაალმდევე გუნდის მცველთან შეჯახებისას ყბის ძვალი გაუტყდა.

ამ ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ შეჩენკოს გაუკეთეს ოპერაცია, რომლის დროსაც ქირურგებმა მას გატყბილი ძვალი აუღვივნეს. თუქტი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფეხბურთელი დღემდე არაა ფორმაში, რამაც “მილანში” ექიმებს გადაწყვეტიწა, მისთვის ფსიქოთერაპიის კურსის გავლა ერიათ.

